ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 7 (1408)

8 მარტი, 1995 წ.

კლარა ცეტკინიდან ნესტან კირთაძემდე ანუ ისტორიის ლოგიკის პარადოქსები

ოთხმოცდახუთი წლის წინ, 1910 წელს, კოპენჰაგენში, სოციალისტ ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე, ამ ნახევრად ფემინისტურ, ნახევრად კომუნისტური ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა, კლარა ცეტკინმა წამოაყენა წინადადება-ყოველწლიურად აღენიშნათ მშრომელ ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. თარიღის თაობაზე ბევრი არ უფიქრიათ. უბრალოდ დააფიქსირეს კონფერენციის სხდომის მომენტი, ანუ იდეის დაბადების დღე — 8 მარტი.

ერთი წლის შემდეგ გერმანიაში ენთუზიასტი მანდილოსნების თაოსნობით გაიმართა პირველი მიტინგები. იყო ლაპარაკი კაპიტალისტურ სამყაროში ქალთა არაადამიანურ მდგომარეობაზე, მმართველი კლასების უსულგულო დამოკიდებულებაზე არა მარტო ქალების, მთლიანად ჩაგრული ფენების მიმართ, ბოლოს კი ითქვა, რომ თუმცა აწმყო არ წყალობთ, მომავალი მაინც სოციალიზმს ეკუთვნის: მოკლედ, ძირს დამპალი ბურჟუაზიული იმპერიები, გაუმარჯოს დამოუკიდებელ პროლეტარიატს!..

რესპექტაბელური გერმანელი ბიურგერების თვალში ეს ყველაფერი გაქსუებული დედაკაცების ექსტრავაგანტურ გამოხტომად ჩანდა და სერიოზულად არც არავის აღუქვია... მაგრამ ისტორიას პარადოქსები უყვარს, არცთუ იშვიათად სრულიად კონკრეტული მიზანდასახულობის იდეა მოულოდნელ, გაუთვალისწინებელ რეალობაში გადაიზრდება-ხოლმე.

1917 წლის თებერვლის რევოლუცია რუსეთში სწორედ ქალთა სოლიდარობის დღისადმი მიძღვნილი დემონსტრაციით დაიწყო (8 მარტი ძველი სტილით— 23 თებერვალია). ღღონდ მაშინ ქუჩებში ქალებთან ერთად თოფიანი კაცებიც გამოდიოდნენ. მერე რაც მოხდა, ყველასთვის კარგადაა ცნობილი და სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ისიც ბუნებრივია, ცარიზმის დამამხობელ რევოლუციონერებს თავიანთი ძლევამოსილი გამარჯვების საწყისი თარიღი რომ არ დავიწყებოდ და მშრომელ ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — ოფიციალურ დღესასწაულად გამოცხადდა. უკვე ეს ფაქტი შეიძლებოდა ისტორიის პარადოქსული ლოგიკის ილუსტრაციად მიგვეჩნია, მაგრამ პარადოქსები ამით არ მთავრდება...

1995 წლის 27 თებერვალს, საქართველოს ტელევიზიით გამოდის ქ-ნი ნესტან კირთაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დეპუტატი, რომლის ორატორული განაზრებანი — ვიცე-სპიკერის გამოთქმა რომ მოვიშველიოთ —

მუდამ „რამდენიმე სასიამოვნოწუთს“ უქადის ხოლმე ოპოზიციას. მაგრამ ამჯერად ქ-ნი ნესტანი მგზნებარე მამხილებლის ნაცვლად ღიმილიანი მახარობლის როლში წარმოსდგა: თურმე მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით გადაწყდა კვლავ აღსდგეს 8 მარტის ულამაზესი დღესასწაული, რომელიც წყვდიადის მეუფების, ანუ „პროვინციული ფაშისტების“ ბოგინობის ჟამს უმართებულოდ იქნა შეურაცხყოფილი და ლაფში ამოსვრილი...

ამ ფაქტზე თითქოს არც ღირს ყურადღების გამახვილება. ისტორიის პარადოქსული ლოგიკით 8 მარტი ბოლო ათწლეულების მანძილზე ჩვეულებრივი, რიგით, საბჭოთა ადამიანის ცნობიერებაში (რუსი იქნებოდა იგი, ქართველი თუ ყირგიზი) არანაირად არ ასოცირდებოდა არც კლარა ცეტკინის სახელთან, არც თებერვლის რევოლუციასთან და არც რაიმე ფემინისტურ - თუ სოციალისტურ იდეასთან; ეს იყო უბრალოდ **ქალთა დღე,** კალენდარზე წითელი ფერით, საჩუქრებით, მილოცვებითა და კონცერტებით, ჰოდა თითქოს რა მოხდა, თუკი ახლაც, დამოუკიდებელ საქართველოშიც ვიზეიმებთ ამ დღეს, ბოლოს და ბოლოს ქალების პატივისცემის წინააღმდეგი რომელი მამაკაცი იქნება! ანკი რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გახლდათ იდეის ავტორი: კლარა ცეტკინი, როზა ლუქსემბურგი თუ ნადეჟდა კრუპსკაია... ჩანაფიქრი სხვა იყო. დრომ კი სხვაგვარად განსაჯა, მაშ რატომ უნდა მოვაკლოთ ჩვენს მოქალაქეებს ეს დღესასწაული (სრულიად დეიდეოლოგიზირებული!), რომელსაც ყველა მივეჩვიეთ, შეევთვისეთ და ერთგვარ ტრადიციად ჩამოყალიბდა?

ამგვარი შეხედულება თითქოს სულაც არაა ლოგიკას მოკლებული, ერთი შეხედვით ამაში არაფერია ცუდი, მაგრამ სინამდვილეში ესეც თავისებური პარადოქსია. ამ პარადოქსის არსი, ანდა, უფრო უხეშად თუ ვიტყვით, ჩვენი ცნობიერების გადაგვარება სწორედ იმაში მჟღავნდება, რომ მსგავსი მოსაზრებები ბევრს მართლაც ლოგიკურად ეჩვენება. არადა აქ ლოგიკის ნასახიც არ არის, უფრო სწორად, ესაა აბსურდისტული ლოგიკა, მხოლოდ და მხოლოდ „მიჩვეულს ნუ გადამაჩვევ“-ის პრინციპზე დაფუძნებული. და თუმცა შესაძლოა ჩვეულება მართლაც რჯულზე უმტკიცესი იყოს, არცერთ ნორმალურ საზოგადოებაში, არცერთი ჭკუადამჯდარი ადამიანი რჯულს ჩვეულებაში არ გაცვლის. უბრალო მაგალითი: უფროსი და საშუალო თაობის თბილისელისთვის ძნელად მისაჩვევია ქუჩებისა თუ მოედნების ახალი სახელები, თბილისელი კაცი აღმაშენებლის გამზირის ნაცვლად როცა „პლეხანოვს“ ამბობს, ეს სულ არ ნიშნავს, თითქოს მას გიორგი პლეხანოვი უფრო უყვარს, ვიდრე დავით აღმაშენებელი, ანდა სერჟანტი პავლოვი ურჩევნია ალექსანდრე ყაზბეგს, ხოლო ლენინი — თავისუფლებას. უბრალოდ იგი ამ სახელებთან ერთად გაიზარდა, მიეჩვია მათ და ცხადია უჭირს გადანყობა, მაგრამ ხომ სრული კრეტინიზმი იქნებოდა ამის გამო ოფიციალურად აღგვედგინა სერგო ორჯონიკიძის, მიხეილ კალინინისა და კამო ტერპეტროსიანის სახელები? ის რაც ერთ თაობას ლამის სისხლში აქვს გამჯდარი, მომავალი თაობებისთვის არაფრისმთქმელია, ან წმინდა წყლის რეტრო-ასოციაციებს აღძრავს, როგორც დღეს „გოლოვინსკის“ და „ერევნის მოედანის“ ხსენება.

ნაჩვევი სახელწოდებისა და ნაჩვევი თარიღის ოფიციალური დაკანონება, იმის გაუთვალისწინებლად, თუ კონკრეტულად რომელი პიროვნება და რაგვარი მოვლენა იდგა მათ უკან — მართლაც ელემენტარული კრეტინიზმია. რაც შეეხება ქალთა დღეს, თავისუფლად შეიძლებოდა მსგავსი ტიპის დღესასწაულის გამოცხადება სხვა იარაღით და არა მაინცდამაინც სოციალისტი დედაკაცების კონფერენციის უკვდავსაყოფად. ქალებისადმი მიძღვნილი დღესასწაულები სხვაგანაც აღინიშნება (სხვათა შორის არცერთ იმ ცივილიზებულ ქვეყანაში, ჩვენი ხელისუფლება რომ სამათხოვროდ ხელგანდილი დარბის, 8 მარტი ოფიციალურად არ იზეიმება), და თუ ჩვენ თვითონ ვერაფერს ვიგონებთ, იქნებ რომელიმე ნორმალური სახელმწიფოსთვის მიგვებაძა. მაგალითად აშშ-ში ანალოგიური დღესასწაული აღინიშნება გაზაფხულის დამდეგს, 1 მარტს და მას „სიყვარულის დღე“ ჰქვია... მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ აბსურდისტულ ლოგიკასთან როდი გვაქვს საქმე, არც მოქალაქეთა კავშირში სხედან ისეთი სულელები, და არც ქ-ნი კირთაძეა იმდენად გულუბრყვილო — მარტო ნაჩვევი სტერეოტიპებით რომ ხელმძღვანელობდნენ. აქ მოქმედებს ერთი ტენდენცია, რომელიც არც ისე წვრილმანია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს და არც ისე უვნებელი.

საიდუმლო არ არის, რომ დღეს ქართულ საზოგადოებაში არსებობს მძლავრი ნოსტალგია წარსულის მიმართ. უაღრესად მძიმე მატერიალური და სოციალური ვითარებით განაწამები ხალხი ალალად შენატრის იმ დროს, როცა ქუჩებში ღამით თავისუფლად გაივლიდი, როცა ყველი ორი მანეთი ღირდა, ბენზინი ოცი კაპიკი, იყო მუქთა პური, კარაქი, შაქარი, ძეხვი... არც დენი აკლდათ, არც გაზი და არც ცხელი წყალი. ისიც ბუნებრივია, რომ ეს წანატრელი დროება კომუნისტური რეჟიმის მმართველობასთან ასოცირდება, ხოლო დღევანდელი უბედურება — საქართველოს დამოუკიდებლობასთან. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ასეთი განწყობილების არსებობა — ბუნებრივია. ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების პოზიციას, მიზანსწრაფულ პროპაგანდას, რათა გაჭირვებულ ადამიანს შეძლებისდაგვარად განუმარტო, რომ არსებული მდგომარეობა სწორედ გუშინდელი. „კომუნისტური სამოთხის“ პირდაპირი მემკვიდრეობაა, ასეთ დღეში იმიტომ კი არ ჩავვარდით, რომ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, არამედ იმიტომ, რომ ჯერ არა ვართ ბოლომდე დამოუკიდებლები. რომ ეს დამოუკიდებელი სახელმწიფო სწორედ იმისთვის გვჭირდება, რათა ჩვენმა შვილებმა იმაზე უკეთ იცხოვრონ, ვიდრე ჩვენ ვცხოვრობდით: უკუმზერიობა და წარსულისადმი ნოსტალგია კი ხეირს არ დაგვაყრის, კომუნისტური ტოტალიტარიზმის დაბრუნება შეუძლებელია და რომც ძლიერ მოვინატრინოთ, უარესი დაგვემართება და ა.შ. კაცმა რომ თქვას, ყოველივე ეს — ბანალური ჭეშმარიტებაა და ქვეყნის ხელისუფლება, თუკი მას ეროვნულობისა და მოქალაქეობრივი ღირსების ნასახი მაინც გააჩნია, უბრალოდ ვალდებულია ასეთ პროპაგანდას ეწეოდეს და თავის პრაქტიკულ საქმიანობასაც ამ სულისკვეთებით წარმართავდეს. მაგრამ როცა ხელისუფლებაში მოკალათებული ძლიერთა ამა ქვეყნისა ინტერესები სხვაა, ხოლო თვით ქვეყნის (ანუ ხალხის) ინტერესები — სულ სხვა, რომელ მოქალაქეობრიობასა და ეროვნულობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი...

დავაკონკრეტებ: ახლოვდება არჩევნები. ხელისუფლება, რასაკვირველია, ცდილობს არსებობის გახანგრძლივებას. და თუ პოლიტიკური ელიტის ზედაპირზე ტივტივი, აქედან გამომდინარე პრივილეგიებით მთავარი მიზანია, რა მნიშვნელობა აქვს საითკენ წარმართავ პროპაგანდას, „ზასტიური“ ილუზიების შენარჩუნების თუ ახლებურ ურთიერთობათა დამკვიდრების მიმართულებით. ნახვალთ იქით, საითაც უფრო ადვილია სიარული. გაცილებით ძნელია ადამიანს შესთავაზო და რეალურად დაანახო რაიმე პერსპექტიული სიახლე (მითუმეტეს როცა არც საამისო ცოდნა გაქვს და არც სურვილი), ვიდრე გამოიყენო მასში გამჯდარი ნოსტალგია კომუნისტურ „ოქროს ხანაზე“ და დათესო აზრი, თითქოს თუ დაგაცლიან, შეძლებ იმ ნანატრი ჟამის ხელმეორედ მობრუნებას... 8 მარტის დღესასწაულის ოფიციალური „აღდგენა“ ერთი პატარა ეპიზოდია, მაგრამ ეს ისეთი წვრილმანია, ზემოთ აღნიშნულ ნოსტალგიას რომ შეესატყვისება. ცხოვრებისეული პროცესები სწორედ ასეთი პატარ-პატარა წვრილმანებისაგან შედგება, რომლებიც ჩვენს ფსიქიკას, ჩვენს მენტალიტეტს სრულიად გარკვეული მიმართულებით წარმართავს. მარტივად რომ ვთქვათ, ესაა თამაში მასის რეტროგრადულ განწყობილებაზე და მართლაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომ ასეთი თამაში უკუმზერობის ტენდენციას აძლიერებს, ისევე როგორც ქ-ნი ნესტანის (ანუ მოქალაქეთა კავშირის, ანუ ხელისუფლების) მიერ გადმოსროლილი ბრალდება, თითქოს ფაშისტმა გამსახურდიამ ქართველ ერს 8 მარტის ნათელი დღესასწაული წაართვა, კიდევ უფრო არწმუნებს იმავე „ზვიადისტებს“ საკუთარ სიმართლეში, მორალურ საყრდენს აძლევს საქართველოს „კარვის ქალებს“, თუმცა ისინი თავიანთი სულიერი წყობით სწორედ იმ სოციალ-ფემინისტებს ენათესავებიან, ოთხმოცდაოთხი წლის წინ ბერლინის ქუჩებში რომ გამოვიდნენ და პირველად აღნიშნეს თარიღი, დღეს რომ „პროვინციული ფაშიზმის“ დამმარცხებელი ხელისუფლება ნესტან ცირთაძის პირით გვილოცავს... ისტორიას მართლაც უყვარს პარადოქსები: 8 მარტის სათავეებთან იდეალისტები იდგნენ, ჩვენებურ „რეამარტისტებში“ კი უკვე „რეალისტები“ და „პრაგმატიკოსები“ ჭარბობენ და მშრომელ ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის „აღორძინება“ საქართველოში ისტორიის პარადოქსული ლოგიკის იმდაგვარი ილუსტრაციაა, როცა კლარა ცეტკინიდან ნესტან კირთაძემდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია, როგორც იდეალისტური ილუზიიდან — „პრაგმატულ“ უზნეობამდე, რაც უბრალოდ სასაცილო წვრილმანი იქნებოდა, ფრიად სამწუხარო ტენდენციის ნიშანი რომ არ იყოს.

დავით ზურაბიშვილი

გაზეთ «საქართველოს» რედაქციის მიმართვა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის კათედრებს, საქართველოს ისტორიის სპეციალისტებს.

აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1994 წ. 15 აპრილის დადგენილებით დაიწყო მზადება „აჭარის ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის გამოსაცემად“ (გაზ. „აჭარა“ 29 აპრილი. 1994 წ.) სამწუხაროდ, ამ დადგენილების სრული ტექსტი არ გავრცელებულა საქართველოს ცენტრალური საინფორმაციო საშუალებებით.

თავისთავად საქართველოს ისტორიული მხარეების მეცნიერული შესწავლა, რა თქმა უნდა, აუცილებელი და საშური საქმეა, მაგრამ ჩვენის ღრმა რწმენით, ამ მხრივ, გარკვეული პრინციპების დაცვაა საჭირო. დაუშვებლად მიგვაჩნია საქართველოს რომელიმე კუთხის ისტორიის იმგვარი წარმოდგენა, როცა, ნებსით თუ უნებლიედ, იქმნება კუთხის, როგორც დამოუკიდებელი, სახელმწიფოებრივი ერთეულის ასოციაცია (ასეთ ასოციაციას კი აშკარად ბადებს თუნდაც ოთხტომეულის სათაური). ამის თაობაზე ჩვენი გაზეთი უკვე წერდა (იხ. გაზ. „საქართველო“ №24, 1994 და №5-6 1995, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ბ-ნ მიხეილ მახარაძის პუბლიკაციები); მაგრამ არა გვგონია, აღნიშნული ტომეულების გამოცემის ფაქტი, მარტოოდენ საგაზეთო პოლემიკის დონეზე იყოს განსახილველი. აქ თავისი სიტყვა უნდა თქვან პროფესიონალმა ისტორიკოსებმა: რამდენად მისაღებია საქართველოს სხვადასხვა კუთხის დამოუკიდებელი ისტორიების მრავალტომეულთა გამოცემა. ხომ არ შეუწყობს ეს ხელს „კუნჭულური პატრიოტიზმის“, ქვეყნის გათიშვა-დაქუცმაცების ტენდენციის გაღვივებას?

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია თქვენს ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ ჯერ მიღებულია აჭარის უ.ს. პრეზიდიუმის გადაწყვეტილება ოთხტომეულის გამოსაცემად (15 აპრილი, 1994) და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების განსჯის საგანი ამ გადაწყვეტილების მოტივები (30 მაისი, 1994).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, რათა საჯაროდ გამოხატოთ თქვენი კომპეტენტური აზრი აჭარის ისტორიის ნარკვევების მომზადებასთან დაკავშირებით. მხოლოდ სპეციალისტთა კომპეტენტური აზრისა და დასკვნების საფუძველზე შეიძლება ასეთი მნიშვნელოვანი საქმის წამოწყება ან მასზე თავის შეკავება. რედაქცია გამოაქვეყნებს როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ გამოხმაურებებს.

აკრძალვის მიუხედავად

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს კოლეგიის 1991 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქართველოს ტერიტორიაზე აიკრძალა კომუნისტური პარტიის საქმიანობა. ეს გადაწყვეტილება დღესაც ძალაშია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ამჟამად საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია ერთი და იმავე მრწამსისა და მიზნების ორი პარტია — საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია და საქართველოს კომუნისტური პარტია და ერთიც — „პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“. მათ ხელშია სამი ბეჭდვითი ორგანო — გაზეთები: „კომუნისტი“, „კომუნისტური პარტია“ და „სტალინელი“ (გამოდის გორში).

საქართველოს ამჟამინდელი ორივე კომპარტია თავს დებს იმაზე, რომ მხოლოდ ის გამოხატავს ქართველი ხალხის ნამდვილ ინტერესებს.

თანამედროვე ქართველი კომუნისტები და მათი ბეჭდვითი ორგანო „კომუნისტი“ წინაპართა ღირსეული მემკვიდრეა: 1920 წლის 7 მაისს, როცა რსფსრ-სა და დამოუკიდებელ საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რის ძალითაც რუსეთმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარა, ხოლო ქართველმა კომუნისტებმა ლეგალური საქმიანობის უფლება მოიპოვეს, ქართველმა კომუნისტებმა „მოღვაწეობა“ დაიწყეს იმით, რომ სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ ოსთა აჯანყება გაამართლეს და მხარი დაუჭირეს მათ მოთხოვნას რსფსრ-თან შეერთებაზე (გაზეთი „კომუნისტი“, 13 ივნისი, 1920).

მსგავსი ტენდენციებია გამჟღავნებული „ახალი“ ყაიდის ქართველ კომუნისტთა ეპისტოლეში — „25 თებერვალი საქართველოს გასაბჭოების დღეა“, რომელიც ა.წ. 23 თებერვლის გაზეთ „კომუნისტის“ მე-3 ნომრის პირველსავე გვერდზეა მოთავსებული. დააკვირდით მკითხველო ამ პატარა წერილს, რომელსაც აქვე გთავაზობთ და თავად დარწმუნდებით, რომ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მოღალატეობრივი საქმიანობა ქართველ კომუნისტთა „მოღვაწეობის“ არსებითი მხარეა. ამის გათვალისწინებით, დროული ხომ არ იქნება ქართველმა საზოგადოებრიობამ მთელი სიმკაცრით მოითხოვოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს კოლეგიის 1991 წლის 26 აგვისტოს ვერდიქტის სისრულეში მოყვანა.

25 თებერვალი საქართველოს გასაბჭოების დღეა!

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 70 წელი ქართველი ხალხის ისტორიაში ჭეშმარიტად ოქროს ხანა იყო. ამ ხნის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ საზოგადოებრივი, მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში არნახულ გიგანტურ წარმატებებს მიაღწია.

ეს პერიოდი საქართველოსათვის არა მხოლოდ 700 წლის წინათ დაკარგული სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის აღდგენის, არამედ მისი, როგორც სუვერენული ქვეყნის სრულყოფისა და ახალ სიმაღლეზე აყვანის ხანა იყო.

ამიტომ არის,რომ დღეს ყველა პატიოსანი მშრომელი კაცი მაღალი შეგნებითა და პრინციპულობით იბრძვის სამართლიანობის აღდგენისათვის, ექსტრემისტების, მაფიური კლანების, ვაიპატრიოტთა და ქვეყნის სხვა დამაქცევართა წინააღმდეგ, მოუთმენლად ელის იმ დღეს, როდესაც გაიმარჯვებს სამართლიანობა, დამკვიდრდება ნამდვილი დემოკრატია, ხალხთა ჭეშმარიტი მეგობრობა, კვლავ შეიქმნება ურღვევი და უძლეველი საბჭოთა ხალხთა კავშირი.

სამი რეპლიკა

ნანა გოდერძიშვილი

»აჩის« ნაცვლად «აჩი 2»

საავჭრო სამრეწველო კომპანია „აჩის“ გაქცევის შემდეგ მოტყუებულმა მეანაბრეებმა შექმნეს საინიციატივო ჯგუფი, რომელთაც მთავრობის კიბეებზე მრავალთვიანი წინ და უკან სვლის შემდეგ ჩამოაყალიბეს სააქციო საზოგადოება „აჩი 2“.

მოტყუებულ მეანაბრეთა მიზანია დახმარება გაუწიონ მათ ბედში მყოფ სხვა მოტყუებულებს. მათ გადაეცათ „აჩის“ ქონების ნარჩენები...

„აჩი 2“ თავს იდებს და სურვილი აქვს წამხდარი საქმის გამოსწორებისა, რაშიც წარმატება გვინდა ვუსურვოთ, მაგრამ ერთი რჩევაც გვინდა შევკადროთ მათ.

აშორდიას „გმირულ“ საქმეთა გამოსწორების მსურველს თავის თავისთვის აშორდია მეორე რომ ეწოდებინა, ცოტა ანეკდოტურ სიტუაციაში ხომ არ ჩაიგდებდა თავს?

„აჩის“ სახელის ხსენება, ვგონებ, მისგან გაუბედურებულ მოქალაქეებს ბედნიერების წუთებს ვერ გაახსენებს და „აჩი 2“-ის მიმართ ნდობის ფაქტორიც დაიკარგება.

რუსულიც უცხო ენაა!

საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში, მთარგმნელობით საქმიანობაში იყო ასეთი ნიუანსი: უცხო ენიდან თარგმნილ ნაწარმოებს, როგორც წესი, ეწერა — თარგმანი, მაგალითად, ფრანგული ენიდან... მაგრამ თუკი თარგმანი შესრულებული იყო რუსული ენიდან, არჰქონდა მნიშვნელობა ორიგინალი იყო ეს თუ რომელიმე უცხო ენიდან რუსულ ენაზე ნათარგმნი ნაწარმოები, უბრალოდ აღინიშნებოდა — „თარგმნა“ მავანმა. ეს ტრადიცია გრძელდება დღესაც. თუკი ზოგიერთს ვერ წარმოუდგენია დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრება, ჩვენმა მეცნიერებმა, მწერლებმა და უპირველესად რუსული ენიდან მთარგმნელებმა მაინც გააცნობიერონ, რომ რუსული ჩვენთვის ერთობ საჭირო, მაგრამ მაინც უცხო ენაა!

აწი, თქვენი თავი თქვენადვე გეყუდნოდეთ

საქართველოში ახალი რეფორმები დაიწყო — სამეცნიერო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულების თანამშრომელთა 30—35%-ით შემცირება, რაც ბუნებრივია ამ დაწესებულებათა გაჯანსაღებას ითვალისწინებს. მაგრამ ჩვენში, ხომ ჯერ კიდევ დიდი ძალა აქვს ზემოდან ზარს, ახლობლობას, „კეთილი“ ძიების მფარველობას... ჰოდა, ვისაც მფარველი არა ჰყავს, შეიძლება ქუჩაში აღმოჩნდეს, მათ შორის პერსპექტიული კადრებიც, მარტოხელებიც და მათი მსგავსნი.სამაგიეროდ, შეიძლება ადგილები შეუნარჩუნდეთ ისეთებს, რომელთაც დიდი ხანია სამსახურის კარები არ შეუღიათ, ასაკოვანნიც არიან (ჰუმანიზმის ქართული ვარიანტი) და ა.შ.

არადა, ვიდრე ხელისუფლება ასეთ ნაბიჯს გადადგამდა, საჭირო იყო გარკვეული სამართლებრივი საფუძველი — სოციალურად დამცავი მექანიზმების ამოქმედება, ასაკობრივი ზღვარის შემოღება, ზრუნვა უმუშევრებზე... მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას დღემდე რისთვის გაურთმევია თავი, რომ მაინცა და მაინც ეს საკითხი მოეგვარებინა.

მამუკა ჩხეიძე

რჩევა-რეპლიკა

ეს რეპლიკა დაიწერა იმ ინფორმაციის გამო, რომელიც კვირას საქართველოს ტელევიზიით მოისმინა მთელმა საქართველომ (აქ შეგნებულად არ ვასახელებ მისი ავტორის ვინაობას). კერძოდ, თურმე უნდა აღიმართოს აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალი, სადაც აღნიშნული იქნება ყველა დაღუპულის გვარი, როგორც ქართველი, ისე აფხაზის!!!

რა შეიძლება ამას ეწოდოს?

მე მგონი კომენტარები ზედმეტია!

როგორიც უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება აფხაზეთის ომის მიმართ, მიგვაჩნდეს იგი ძმათამკვლელ დაპირისპირებად, რუსეთის აგრესიად თუ ეთნოკონფლიქტად, მსგავსი პროექტის წამოყენება, მითუმეტეს ბრძოლაში დამარცხებულის მხრიდან, როცა ომი დამთავრებულად არ მიგვაჩნია, კატეგორიულად მიუღებელი და გაუმართლებელია. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმაზე მაინც ხომ უნდა დავფიქრდეთ, როგორ შეხედავს ამას ის ქართველი ადამიანი, ვისაც შვილები დაუხოცეს, სახლ-კარი გადაუწვეს და მამა-პაპათა სამკვიდრებელიდან გამოაძევეს მარტოოდენ მისი ქართველობის გამო? რაზეა ლაპარაკი, როცა აფხაზეთის ტერიტორიაზე დღესაც გრძელდება ქართველთა ოჯახების რბევა-აწიოკება?

ისე, ერთი რჩევა მაინც მიხდა მივცე იდეის ავტორებს. რატომ უნდა ამოიტვიფროს ობელისკზე მაინცდამაინც ქართველთა და აფხაზთა გვარები? რა დაეშავეს „ბაგრამიანის“ სახელობის სომხური დივიზიის და „სლავური სახლის“ რუსი ეროვნების დაღუპულებმა?ყველანი ხომ ბედკრული საქართველოს „შვილები იყვნენ“?

რუსი კი იცინის

შეყოვნებული მოქმედების ნაღმის — ავტონომიების საბჭოთა სისტემის ახალი აფეთქების საშიშროებით ემუქრებიან საქართველოს. ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ფაქტობრივად საქართველოს იურისდიქციიდან გასვლა აღარ აკმაყოფილებთ და ახლა აჭარას მოდგნენ. გაზეთები „იზვესტია“ და „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ ბულბულის ცრემლებს ღვრიან გენერალ გლადიშევის „შევიწროების“ გამო, რომელიც თურმე კარგა ხანია ფარად უდგას აჭარას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისაგან დასაცავად.

აჭარის ხელმძღვანელს თვალი მოსკოვისაკენ გაურბის. „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ კორესპონდენტის სერგეი სტობოვანის წერილი „აჭარული ზამბარა“ (№11, 12-19 თებერვალი, 1995) ერთი შეხედვით აჭარისა და მისი თავკაცის დასაცავადაა გამიზნული. მაგრამ რუსი რის რუსია თუკი ქართველები (ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს უშიშროების სამსახურის უფროსი და აჭარის უ.ს. თავმჯდომარე) ერთმანეთს არ მიუსიოს და თვითონ არხეინად არ უყუროს ამ სეირს.

რაც ითქვა, საყოველთაოდ ცნობილი ამბავია და ეს რეპლიკა ამის გულისათვის სულაც არ იწერება. „აჭარული ზამბარის“ პოსტსკრიპტუმში, სადაც რუსი ჟურნალისტი სიხარულს ვერ მალავს (ყოვლად უსაფუძვლოდ!) აჭარაში მოსალოდნელი აფეთქების გამო, აჭარის უ.ს. თავმჯდომარე ირონიითაა მოხსენიებული — „აჭარის პირველი პოლიტიკოსი“ (ბრჭყალები, რა თქმა უნდა რუსს კორესპონდენტს ეკუთვნის), რაც იმის უტყუარი საბუთია, რომ როგორც კორესპონდენტს, ისე მის ბათუმში გამომგზავნს არაფრად უღირთ აჭარის უ.ს. თავმჯდომარის სახელი და ღირსება. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ქართული გაზეთები არავითარ ანგარიშს არ უწევენ ამ ირონიას და ისე აქვეყნებენ ხსენებულ პუბლიკაციას „მოსკოვსკიე ნოვოსტიდან“ (ეს უპირველესად ეხებათ იმ გაზეთების მესვეურთ, რომლებიც ამ პუბლიკაციაში აჭარის უ.ს. თავმჯდომარის გამართლებას ხედავენ).

მოკლედ, რუსის მეშვეობით ქართველები ერთმანეთზე ვართ გადაკიდებულნი, რუსი კი იცინის, იცინის და ლამისაა სიცილისაგან გაიგუდოს, მაგრამ იმდენ სიფხიზლეს მაინც ინარჩუნებს, რომ ჩვენს კინკლაობაში „ობიექტურ“ არბიტრადაც მოგვევლინოს.

მიხეილ მახარაძე

დეკემბერ - იანვრის გადატრიალება

ეს წერილი წარმოადგენს აუცილებელ განმარტებას ბ-ნ კუკური სორდიას პუბლიკაციისათვის „ტრაგედიის მრავალსახეობა“, რომელიც დაიბეჭდა „იბერია სპექტრში“ (12 იანვარი, 1995 წ.). რატომაა აუცილებელი ჩვენი მიბრუნება ამ ტრაგიკული თემისადმი და რატომაა ამ წერილის გამოქვეყნება ჩვენი ვალი, მკითხველი ადვილად დაინახავს. ბუნებრივია,რომ ავტორმა წერილი მიიტანა „იბერია სპექტრში“. ჩვენს განცვიფრებას იწვევს ის, რომ „იბერია სპექტრმა“, რომელშიც ამ რამდენიმე წლის მანძილზე მრავალი უაღრესად საჭირო მწვავე მასალა გამოქვეყნდა ჩვენი უბედურებების თემაზე ეს წერილი არ დაბეჭდა.

»იმედს» სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობა არ მიუღია

ა.წ. 12 იანვარს გაზეთ „იბერია სპექტრში“ დაიბეჭდა ბ-ნ კუკური სორდიას ვრცელი სტატია სათაურით „ტრაგედიის მრავალსახეობა“, რომლის დასკვნით ნაწილშიც ავტორი აცხადებს, რომ იგი 28 დეკემბრის (იგულისხმება 1991 წლის 28 დეკემბერი) შემდგომი პერიოდის ამბების უშუალო მონაწილე აღარ ყოფილა, მაგრამ საქმის კურსში მაინც იყო სხვების გადმოცემით, ხოლო შემდგომ ასეთ ამბავს ყვება: „როგორც ზემოთ აღვნიშნე, 30 დეკემბრამდე მთავრობის სახლის დამცველებიდან არავითარი საბრძოლო ოპერაცია არ ჩატარებულა, მაგრამ, პრეზიდენტის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მზადდებოდა ეს ოპერაცია და აი, 30 დეკემბრის ღამეს 270-კაციანმა რაზმმა, ერთ საათში შეძლო მთლიანად განედევნა მოწინააღმდეგე თავისუფლების მოედნიდან და, რუსთაველის გამზირიდან სასტუმრო „ივერიამდე“. რომ არა ბრძანება უკან დახევისა, ალბათ იქედანაც შეიძლებოდა მათი განდევნა. ეს ოპერაცია ისე ჩატარდა, რომ ჩვენს მხარეს მსხვერპლი არ ყოფილა. ამის შემდეგ დაიწყო საბოლოო შეტევისათვის მზადება, ჩვენმა ბიჭებმა შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა, რომლის შესახებ მოახსენეს პრეზიდენტს. ოპერაცია 6 ან 7 იანვრისათვის იყო დაგეგმილი. თარიღის დასაზუსტებლად 5 იანვარს უნდოდათ შეხვედრა პრეზიდენტთან, მაგრამ მათ უთხრეს, რომ ის ჯერჯერობით დაკავებულია დარდესაც მოიცლის, თვითონ დგიძახებთო. დაძახების საცალად მოულოდნელად სასახლის დატვირთვის ბრძანება მიიღეს. სასახლე დატვირთეს 6 იანვარს ადრე დილით. პრეზიდენტმა და მის თანმხლებ პირთა ერთმა ნაწილმა გაასწრო, ხოლო მეორე ნაწილი ჩასაფრებულ მოწინააღმდეგეს გადაწყდა და საზიზღარი სისასტიკით იქნა დახვრეტილი, ბევრი დაიღუპა და დაიჭრა. დასავლეთის მიმართულებით მიმავალი მთავრობის მომხრე რაზმები წინასწარი მოლაპარაკებით მილიციის სამმართველოს წარმომადგენელმა გია გულუამ ნატანტარის საგუშაგოდე მიაცილა და უთხრა, რომ გზაზე მეტი არავინ იქნებოდა, სინამდვილეში სოფელ აღაიანთან ეგრეთწოდებული „იმედის“ შეიარაღებული რაზმები იყო ჩასაფრებული გელა რუსიშვილის მეთაურობით, რომლის შესახებ გია გულუას ალბათ უნდა სცოდნოდა, სხვათა შორის, გია გულუა იყო, ადრე მთავრობაზე თავდასხმის დაწყებამდე მარნეულში დანაკებულ სენაკის ბატალიონს რომ დაეხა თავს, რისთვისაც მან გვარდიელების და მილიციის მუშაკების ურთიერთობა გამოიყენა“.

„სრულიად დაიმედებულად სახლისკენ მიმავალ გვარდიელებს და მოხალისეებს სოფელ აღაიანთან მოულოდნელად დაესხნენ თავს ჩასაფრებული „იმედლები“ და მათ ამოხოცეს 60-მდე უდანაშაულო ადამიანი: ჯერ მანქანებს დაუშინეს რაკეტები და ტყვიები, შემდეგ დაჭრილებთან მიდიოდნენ და იარაღის მიბჯენით კლავდნენ მათ. რამ უნდა გაგაბოროტოს, რომ ასე არაადამიანურად მოქცეულ შენსავე თანამემამულეს, თანამოძმეს, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის შენს წინაშე გარდა იმისა, რომ ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს იცავდა და შენს წინააღმდეგ გამეტებით იარაღი ვერ აღმართა“.

სტატიას დასაწყისში წამძღვარებული აქვს რედაქციის კომენტარი იმის შესახებ, რომ ბატონ კუკური სორდიას ჩანაწერები უაღრესად საინტერესო უნდა იყოს, როგორც მკითხველისათვის, ისე შთამომავლობისათვის... და, რაკი შთამომავლობისათვის ე.ი. ფაქტიურად, ისტორიისათვის არის გამიზნული სტატია, თავს უფლებას მივცემ, რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვანი შენიშვნა გავაკეთო აღნიშნული სტატიის დასკვნითი ნაწილის ირგვლივ, რაც ალბათ კიდევ უფრო მეტ სიცხადეს შესძენს აღნიშნულ ფაქტს. კერძოდ, საქმე ეხება 1992 წლის 6 იანვარს სოფელ აღაიანთან დატრიალებულ ტრაგედიას.

როგორც სტატიის ავტორი აცხადებს, დასავლეთისაკენ მიმავალ პრეზიდენტის მომხრე რაზმებს სოფელ აღაიანთან მოულოდნელად თავს დაესხნენ „იმედის“ შეიარაღებული რაზმები და გაანადგურეს იგი. მე, როგორც „იმედის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი არსებობის მანძილზე „იმედის“ თავმჯდომარე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ „იმედს“ 1991—92 წწ. დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, მითუმეტეს არ მონაწილეობდა ე.წ. აღაიანის „ოპერაციაში“.

„იმედი“ 1991 წლის 3 მარტს მისი ყრილობის გადწყვეტილებით სრული შემადგენლობით შევიდა ეროვნულ გვარდიაში (ინფორმაცია მაშინ ტელევიზიითაც გადაიცა) და „იმედის“ ბაზაზე შემდგომ ჩამოყალიბდა 26-ე მარნეულის ბატალიონი, რომელსაც მე ვმეთაურობდი. იმ დღიდან „იმედმა“, როგორც დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ, ფაქტიურად შეწყვიტა არსებობა. არსებობდა მხოლოდ „იმედის“ ძირითადი ბირთვის ბაზაზე ჩამოყალიბებული 26-ე მარნეულის ბატალიონი, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა არც რუსთაველზე გამართულ ძმათამკვლელ ომში და არც სამეგრელოს „დამსჯელ ექსპედიციებში“. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ „იმედი“ სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობას არ მიიღებდა და ვერ მიიღებდა იმ შემთხვევაშიც კი, იგი რომ არ დაშლილიყო, რადგან ეს და მსგავსი მოვლენები ძირეულად ეწინააღმდეგებოდა და ეწინააღმდეგება იმ პატრიოტულ, პოლიტიკურ და ეროვნულ პრინციპებს, რომელზე დაყრდნობითაც იგი შეიქმნა.

ახლა დავუბრუნდეთ კვლავ აღაიანის ფაქტს. ამ ეგრეთწოდებულ „ოპერაციაში“, როგორც ჩემთვის შემდგომ გახდა ცნობილი, აღაიანის ტრაგედიის „შემოქმედთა“ შორის იყო „იმედის“ ოთხიოდე ყოფილი წევრი, რომლებიც იმ დროისთვის არა თუ „იმედის“ შემადგენლობაში (რომელიც უკვე დაშლილი იყო), არამედ 26-ე ბატალიონის პირად შემადგენლობაშიც არ ირიცხებოდნენ, პირადად ჩემთან და ბატალიონის ხელმძღვანელ ბირთვთან პრინციპული უთანხმოების გამო. ამ საშინელების დანარჩენი მონაწილეების შესახებ ჩემთვის ცნობილია ის,რომ იქ იყვნენ როგორც მოხალისე რაზმები (რომლებიც რატომღაც უცბად მომრავლდნენ იმ პერიოდისათვის), ისე ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი მაშინდელი ზოგიერთი შეიარაღებული ფორმირებები.

ახლა რაც შეეხება გელა რუსიშვილს და მის კავშირს აღაიანის ტრაგედიასთან. იგი დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, ალბათ თავად გასცემდა პასუხს აღნიშნულ ცილისწამებას, მაგრამ რაკი იგი ცოცხალთა შორის აღარ არის, თავს ვალდებულად ვთვლი ზემოთ აღნიშნულზე პასუხი მე გავცე. გელა რუსიშვილს, აღაიანის ტრაგედიასთან არავითარი კავშირი არ აქვს, იმდენად რამდენადაც იქ საერთოდ არ ყოფილა. 6 იანვარს დილით მე და 26-ე ბატალიონის ოფიცერთა შემადგენლობა ერთად ვიყავით სახალხო ფრონტის შტაბბინაში, რადგან მაშინ სსფ ერთადერთი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო, რომელიც რომელიმე მხარის გამარჯვებას კი არ გულშემატკივრობდა, არამედ მომხდარ ამბავს კატასტროფად სთვლიდა და ცეცხლის შეწყვეტისაკენ მოუწოდებდა ორივე მხარეს. ჩვენთან ერთად იყო გელა რუსიშვილიც. ვიღაც (ვინ იყო, აღარ მახსოვს) გაშმაგებით მოვარდა ჩვენთან და გვითხრა, აღაიანთან თქვენი ბიჭები ჩაზოცესო. სიმართლე გითხრათ ჩვენ თავდაპირველად ამის თაობაზე არავითარი რეაგირება არ მოგვიხდენია, რადგან თითქმის მთელი შემადგენლობა ერთად ვიყავით, ჩვენთან არ იყო მხოლოდ რამოდენიმე კაცი, რომლებთანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სერიოზული უთანხმობა გვქონდა დეკემბერ-იანვრის აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით, რის გამოც ბატალიონში აღარ ირიცხებოდნენ, როდესაც განმეორებით გვაცნობეს იგივე და გვითხრეს უკვე დაღუპულის სახელი და გვარი, აღაიანთან ,,ატა ... დაღუპაო, ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ სწორედ ამ რამდენიმე კაცზე იყო ლაპარაკი. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა ჩვენსა და მათ შორის, ჩვენ აღაიანისაკენ გავეშურეთ.

ადგილზე მისულებს ასეთი სურათი დაგვხვდა: ტრასაზე იდგა ცეცხლმოკიდებული „კამაზი“, რომელზედაც მთავრობის სახლიდან წამოღებული დიზელგენერატორები და რაღაც სამხედრო ყუთები ეწყო. ყველაფერი სისხლში იყო მოსვრილი, ასფალტზე სამი დაღუპული კაცის გვამიღა იყო დარჩენილი, როგორც ჩანს სასწრაფოს დანარჩენები უკვე პროზექტურაში წაეყვანა. იქვე იყო „გაზ 21“ მარკის დაცხრილული ავტომანქანა, რომელიც, როგორც გავიგე, თავისთვის მიდიოდა და აღნიშნული შეტაკების მსხვერპლი გახდა. მანქანაშიც აღარავინ აღარ იყო უკვე, ალბათ ისინიც წაეყვანათ.

6 იანვარს მთელი დღე საღამოს 9—10 საათამდის მე და გელა რუსიშვილი ,,ატას გვამს ვეძებდით თბილისისა და მცხეთის პროზექტურებში. ბოლოს, როგორც იქნა, მივაგენით. საქმე იმაში გახლავთ, რომ, როგორც ოჯახის წევრებისაგან შევიტყვეთ, იგი სახლიდან გამოსულა ექიმთან წასასვლელად (წელი აწუხებდა) და „თანამებრძოლებს“ აღაიანისაკენ წაუყვანიათ, შემდეგ კი დაღუპული მიატოვეს და ოჯახს არც კი გააგებინეს. საღამოთი ექიმთან წასული კაცი მის ორ პატარა შვილს მე და გელამ დაღუპული (ტყვია შუბლში ჰქონდა მოხვედრილი) მივუყვანეთ.

P.S. ბატონ სორდიას წერილის დაბეჭდვის შემდეგ მისი მონათხრობი აიტაცა სხვამ და როგორც ჩანს, საკუთარი გადასხვაფერებითა და გაძლიერებით — დაბეჭდა გაზეთში „ქვეყანა სახლი“ ?. გიორგაძის, ს. წერეთლის და გრ. ჭინჭარაძის ხელმოწერით (თუმცა თვით წერილი დაწერილია მხოლობით რიცხვში და, ამგვარად, ერთ ავტორს გულისხმობს). ამ წერილში ნახსენებ „სახალხო ფრონტის რაზმელებშიც“ ალბათ ჩვენ ვიგულისხმებით, რადგან სხვა რაზმი სახალხო ფრონტს არასოდეს ყოლია. ამიტომ ამ წერილს, რომელიც ბატონ სორდიას წერილის დასკვნითი ნაწილის ახალი ინტერპრეტაცია, ცალკე არ ვუპასუხებთ. ჩვენი შენიშვნები ბატონ სორდიასადმი მისი პასუხიც გახლავთ.

აუცილებელია შევნიშნოთ; სხვადასხვა ცილისწამება 26-ე ბატალიონის მიმართ და „იმედის“ მიმართ დაიწყო მაშინვე, იმ სისხლიანი დღეებიდანვე. მისი დამწყებნი იყვნენ ისინი, ვინც ვერ შეეგუა იმას, რომ, იმედელებმა უარი ვთქვით ძმათა სისხლის ღვრაზე, მუხედავად იმისა, რომ სამხედრო ფორმა გვეცვა და მაშინდელ ერთადერთ ოფიციალურ შეიარაღებულ ძალაში — გვარდიაში ვირიცხებოდით.

დავით ხომასურიძე

ირაკლი მელაშვილი:

«ძველი ვალებისა» და «უფროსი ძმის» კომპლექსით შეპყრობილთა შესახებ

ამას წინათ მოსკოვში იმყოფებოდა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი, პარლამენტარი ირაკლი მელაშვილი. ვიზიტის მთავარი მიზანი იყო საპარლამენტთაშორისი ურთიერთობების გაღრმავება, რუსეთში მიმდინარე პროცესების შესწავლა. შედგა შეხვედრები როგორც დეპუტატებთან, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ქვემოთ გთავაზობთ რამოდენიმე ფრაგმენტს პარლამენტარის „მოსკოვური შთაბეჭდილებებიდან“.

რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ელიტა აბსოლუტურად მოუმზადებელი აღმოჩნდა ჩეჩნეთის კრიზისის ამგვარი განვითარებისათვის. ომი ჩეჩნეთში — მათთვის ნამდვილი „ცივი შხაპი“ იყო. დღეს რუსეთს ფაქტიურად თავისი საუკეთესო სამხედრო ნაწილების მობილიზება უწევს პატარა რესპუბლიკის წინააღმდეგ (იანვრის ბოლოს გროზნოში გადაისროლეს რეზერვში მყოფი რჩეული სპეცნაწილები თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროდან — ე.წ. ძერჟინსკის დივიზია და წყნარი ოკეანის ფლოტის საზღვაო ფეხოსნები!). უზარმაზარი დანაკარგების მიუხედავად, ჩემი მოსკოვში ყოფნის მომენტისთვის რუსეთი ჩეჩნეთის ცხრა რაიონიდან აკონტროლებდა მხოლოდ ორს. მოსკოვის პოლიტიკური წრეების შეფასებით ეს ეპოპეა რუსული იარაღისა და საერთოდ რუსეთის კავკასიური პოლიტიკის უდიდესი მარცხია...

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ელცინმა რუსეთის „კავკასიური პოლიტიკა“ ფაქტიურად მხოლოდ სამხედროებს მიანდო, სხვადასხვა პოლიტიკური,

გაგრძელება მე 4 გვ.

ირაკლი მელაშვილი: «ძველი ვალებისა» და «უფროსი ძმის» კომპლექსით შეპყრობილთა შესახებ

მესამე გვერდიდან

თუ სადაზვერვო უწყებები მხოლოდ სამხედრო წრეებში შემუშავებული პროგრამის გამტარებლები იყვნენ. სამხედროების მოქმედებას კი აშკარად ატყვია, არა იმდენად სახელმწიფოებრივი, რამდენადაც ვიწრო უწყებრივი ინტერესების გავლენა, რაც პირველ რიგში კავკასიაში მძლავრი, რუსული „სამხედრო მუშტის“ შენარჩუნების მცდელობაში გამოიხატება. ამგვარი ხედვა, რასაკვირველია, პრინციპულად არ განირჩევა რუსეთის სახელმწიფოს გეოსტრატეგიული ინტერესებიდან, მაგრამ როგორც ცნობილია, პოლიტიკაში არა მარტო მიზანია მთავარი, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვანია კონკრეტული საშუალებებიც ამ მიზნის მისაღწევად... სამხედროებიხ ტაქტიკა კი საკმაოდ მიზანდასახული იყო: ამიერკავკასიაში უკიდურესად არასტაბილური ვითარების შექმნით, ეთნოკონფლიქტებსა და პოლიტიკურ დაპირისპირებათა ესკალაციით, ღია თუ ფარული ეკონომიკური ბლოკადით, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა მაქსიმალური დასუსტება, შემდეგ კი რუსეთისთვის სასურველ შეთანხმებებზე ხელმოწერის იძულება. ასეთი „პროგრამა“, რა თქმა უნდა სრულიად გამორიცხავდა კავკასიის რესპუბლიკების მეტ-ნაკლებად თანასწორუფლებიან პოლიტიკურ პარტნიორებად განხილვას. გარდა ამისა ეთნოკონფლიქტები გამდიდრების ჭეშმარიტად „უშრეტი წყარო“ იყო არმიის ხელმძღვანელობისათვის, რომლებიც „ცხელ წერტილებში“ იარაღის გაყიდვით ითბობდნენ ხელს. როგორც უკვე ვთქვით, ამგვარი ძალისმიერი ტაქტიკა არ უპირისპირდებოდა რუსეთის სხვა გავლენიანი პოლიტიკური ძალების სტრატეგიულ მიზნებს და ამიტომ მას პრაქტიკულად არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ნათელია, რომ რუსეთი ცდილობდა და დღესაც ცდილობს აღკვეთოს დასავლეთის გავლენის გავრცელება ამიერკავკასიაში, არასტაბილურობის კერების პერმანენტული „გაჩაღებით“ ხელს უშლის რეგიონში მსხვილი ინვესტიციების შემოსვლას, რაც ახლადშექმნილი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების დაუძლურებისა და მათი რუსეთთან ჯერ ეკონომიკური, შემდეგ კი პოლიტიკური რეინტეგრაციის საფუძველი უნდა გახდეს. აქედან გამომდინარე საქართველოს ფიცალური პოზიცია „პროგრესული“ და „რეაქციული“ რუსეთის თაობაზე თვით რუსეთის ხელისუფლების თვალში უბრალოდ ღიმილისმომგვრელად გამოიყურებოდა. აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ ჩვენის მხრიდან „ელცინის და მისი რაზმის“ პანეგირიკმა კი რუსეთის მმართველ ელიტას კიდევ უფრო განუმტკიცა შეხედულება არჩეული კურსის სისწორის შესახებ. შეიქმნა ძალისმიერი მეთოდებით ნებისმიერი სასურველი შედეგის მიღწევის ილუზია. საქართველოში დადგმული სცენარი რუსეთმა აამოქმედა აზერბაიჯანშიც, ნაწილობრივ ტაჯიკეთსა და ჩეჩნეთშიც, მაგრამ ამ გეგმამ თითქმის ყველგან მარცხი განიცადა. ერთადერთი გამონაკლისი — საქართველო აღმოჩნდა.

ქართული ნომენკლატურის ბრწყინვალება და სიღატაკე

ნებისმიერი პოსტკომუნისტური ქვეყნის ბედი დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა შენარჩუნებული მმართველი ნომენკლატურის წიაღში ეროვნული და მოქალაქეობრივი თვითშეგნება. როგორც მოვლენათა ანალიზი გვიჩვენებს, სამწუხაროდ 80-იანი წლების ქართული კომუნისტური ელიტა სსრკ-ში შემავალ რესპუბლიკების ნომენკლატურათა შორის ერთ-ერთი ყველაზე არაკომპეტენტური, დენაციონალიზებული და კორუმპირებული აღმოჩნდა. მისი დიდი ნაწილი ფაქტიურად შერწყმული იყო ერთის მხრივ კრიმინალურ სამყაროსთან, მეორეს მხრივ კი КГБ-ს, ГРУ-ს სპეცსამსახურებთან, მოსკოვის სხვადასხვა პოლიტიკურ-მაფიოზურ კლანებთან. პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით საქართველოში დატრიალებული მოვლენები შეიძლება შეფასდეს, როგორც ანტირეფორმისტულად განწყობილი პარტოკრატიის რევანში, იმ პარტოკრატიისა, რომელსაც ჩვენთან სათავეში უდგას შევარდნაძე-იოსელიანის დუეტი, ხოლო „რუხ-კარდინალად“ გვევლინება მოსკოვში მოკალათებული ერთ-ერთი პარტოკრატი, დღესაც რომ უდიდეს როლს თამაშობს ქართულ პოლიტიკაში (როგორც ეკონომიკური სტრატეგიის, ისე საკადრო საკითხების განხრით). დღევანდელ, ანტირეფორმისტულად განწყობილ ქართულ ნომენკლატურას, რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებში მიმდინარე რეფორმების ფონზე არ ძალუძს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა. საქართველოს პარტიული ელიტის კეთილდღეობა თავიდან ბოლომდე დამოკიდებული იყო მოსკოვის ამა თუ იმ დაჯგუფებათა მხარდაჭერაზე და ისინიც ერთგულად ემსახურებოდნენ მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს. ცხადია, ცივილიზებულ კონკურენციაზე დამყარებული ეკონომიკური სისტემის პირობებში, ქართული ნომენკლატურის კომპეტენცია საკმარისი არ აღმოჩნდება თავიანთი გაბატონებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად. პარტოკრატიის ერთადერთი მიზანი — მატერიალური კეთილდღეობა, პრივილეგიები და აქამდე ჩადენილი დანაშაულებისაგან პასუხისმგებლობის აცილების გარანტიებია. ამიტომ იგი მართლაც სისხლხორცეულადაა დაინტერესებული არსებული სახელმწიფო და სოციალური სისტემის შენარჩუნებით. ამ სისტემის ეკონომიკური არაეფექტიანობის კომპენსირება რუსეთის საგარეო დახმარების ხარჯზე სურთ. სამაგიეროდ მზად არიან რუსეთთან ნებისმიერ პოლიტიკურ დათმობებზე წავიდნენ. ასე რომ, ფაქტიურად დენაციონალიზებული, კორუმპირებული კარიერისტების ინტერესებს ეწირება ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეა. მთავრობის ანტირეფორმისტული კურსით, კორუფციით, ფაქტიურად სახელმწიფო დონეზე დაკანონებული რეკეტით (იხ. მაფიის და ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ჯ. იოსელიანის იანვრის სატელევიზიო გამოსვლა, სადაც მან ფაქტიურად მხედრიონის რეკეტული საქმიანობის დაკანონება მოითხოვა). მაქსიმალურად იზღუდება უცხოური ინვესტიციების შემოსვლა, რაც დასავლეთისფინანსურ-ეკონომიკურ წრეებთან ერთად ამ ქვეყნების პოლიტიკურ გავლენასაც გააძლიერებდა. სამაგიეროდ, საქართველოს მოსახლეობას და მეწარმეებს წლების განმავლობაში ატყუებენ რუსეთიდან დიდი კრედიტის მიღების იმედით (ყბადაღებული 20 მლრდ. მანეთი! სხვათა შორის ზუსტად ამ რაოდენობის თანხა რუსეთის ბიუჯეტიდან გამოყოფილია ფედერალური კრების წევრთა მიერ რეგიონებში გასაგზავნი დეპეშების სუბსიდირებისთვის). ამგვარ პოლიტიკას კი საბოლოო ჯამში რუსეთთან „თანასწორუფლებიან და კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას“ უწოდებენ და ქართულ-რუსულ ურთიერთობათა „ახალი ერის“ (ე. შევარდნაძე) დასაწყისად ასაღებენ.

მოსკოვს ცრემლების არ სჯერა

ძნელი სათქმელია, ვისი მისამართით გამოითქმება ჩვენი ხელისუფლების მომხრეთა მხრიდან გულმხურვალე, რუსოფილური დითირამბები — ქართული საზოგადოებისთვის თუ რუსეთის პოლიტიკური ძალების გულის საამებლად. ფაქტი ერთია, ჩემთან საუბარში რუსი მოღვაწეები ღიმილით აღნიშნავდნენ, რომ ნაკლებად სწამთ ქართველთა „რომის პაპზე მეტი კაოოლიკობისა“, როცა ჩვენი თანამემამულეები აქეთ უხსნიან მათ რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს საქართველოში (კერძოდ, მხედველობაში მაქვს მოქალაქეთა კავშირის წევრი დეპუტატების ვიზიტი ბ-ნ ზურაბ ჟვანიასა და ბ-ნ ელდარ შენგელაიას ხელმძღვანელობით). დუმის დეპუტატებმა ვერაფრით ვერ გაიგეს, რომ თუ შევარდნაძეს პარლამენტში ჰყავს უმრავლესობა, თუ მათ მიერ აღებულ კურსს მხარს უჭერს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, თუ სახელმწიფოს მეთაური და მისი მომხრეები აკონტროლებენ სიტუაციას ქვეყანაში, რატომაა მაშინ „დესტრუქციული ოპოზიციის“ ბრალი ანტირეფორმისტული მინისტრთა კაბინეტი. ასევე ვერ ჰპოვა რუსეთში გაგება იმ პოზიციამ, რომ თუკი რუსები არ დაეხმარებიან შევარდნაძეს, მაშინ ქვეყნის სათავეში მოვლენ „ნაციონალისტური“ ძალები, რომლებიც უარს იტყვიან ბაზების განლაგებაზე, გაყრიან რუსებს საქართველოდან და ა.შ.

ჩემის ღრმა რწმენით, საქართველოს კეთილდღეობისთვის აუცილებლად საჭიროა რუსეთთან თანასწორუფლებიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება. მაგრამ ამის ძიძგვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მხრიდან მტკიცე, დამოუკიდებელი, თავისი ინტერესების დამცველი პოლიტიკის გატარებით. მოსკოვს სამათხოვროდ ხელგაშვერილი ქართველი „კონსტრუქციული პოლიტიკოსების“ ცრემლებისა არ სჯერა. ქართულ-რუსულ ურთიერთობებში საქართველოს პოზიციას მნიშვნელოვნად ასუსტებს სწორედ იმ ქართველ „მოღვაწეთა“ ქმედებები, რომლებიც კვლავ რუსეთის დახმარებით ცდილობენ მოიპოვონ ან შეინარჩუნონ ადგილი ჩვენს პოლიტიკურ ელიტაში. დღეს ქართველი დეპუტატი, დსთ საპარლამენტთაშორისო ანსამბლეის იურიდიული კომისიის თავმჯდომარის „ხალათით“ დაჯილდოებული ქართლოს ღარიბაშვილი სიხარულით გამოთქვამს მზადყოფნას იმუშაოს დსთ-ს ერთიანი მოქალაქეობის შესახებ კანონის მომზადებაზე. ხოლო საქართველოს პარლამენტართა ნაწილი ამაში საშიშს ვერაფერს ხედავს...

საერთოდ სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობების დამყარებაში დიდი როლი უნდა ითამაშოს საქართველოს პარლამენტმა. კერძოდ, საგარეო საქმეთა კომისიამ, რომლის ხელმძღვანელი რგოლის (თავმჯდომარე ბ-ნი თამაზ გამყრელიძე, მოადგილე ბ-ნი ზურაბ ჟვანია, მდივანი ბ-ნი პეტრე მამრაძე— დღეს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელი) „თავგანწირული“ მეცადინეობის შედეგად მოხერხდა ამ კომისიის სრული პარალიზება. რუსეთის პარლამენტის დსთ-ს კომიტეტის სტრუქტურაში შექმნილია საქართველოსთან ურთიერთობების ქვეკომიტეტი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მიმართ მკაცრი კურსის მომხრე, ეროვნებით ჩერქეზი ბ-ნი კალმიკოვი უდგას სათავეში. საჭიროა ჩვენთანაც შეიქმნას ანალოგიური კომისია, ოღონდ იგი იმ ხალხით უნდა იყოს დაკომპლექტებული, ვისაც არ აწუხებს არც „ძველი ვალები“ და არც „უფროსი ძმის“ კომპლექსითაა შეპყრობილი. საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა დარეგულირება საბოლოოდ მაინც იმათ ზურგზე გადაივლის, ვინც თანმიმდევრულად იცავდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას და არ ანაცვალებს საკუთარ „სკამს“ ქვეყნის უზენაეს პოლიტიკურ ინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



... იმ რჩეულთაგანი იყო·

ერთი წელი გავიდა, რაც ზურაბ გოგია ჩვენთან აღარ არის — ერთი მძიმე წელი, რომლის კვირაც არ გასულა, ალბათ, ისე, რომ თავს არ დაგვტეხოდეს ულმობელი სიმკაცრით რაღაც ისეთი საქმე, რომლის გამკეთებელი ზურაბი იყო და არა სხვა. ზურაბი იმ რჩეულთაგანი იყო, ვინც სიკვდილში ჯერ დასანანია და მხოლოდ მერე — შესაცოდი. ღმერთმა გაანათლოს მისი შეუბღალავი, ვაუკაცური სული, ღმერთმა გაუმარჯოს მის წმინდა საქმეს ამ ქვეყნად, ღმერთმა მარადიულ ყოს მისი ხსოვნა. ღმერთმა უდღეგრძელოს და უმრავლოს ოჯახი, მისი შთამომავლობით თავისუფალსა და ბედნიერ საქართველოში!

ნოდარ ნათაძე

გახსენება

ერთი წელი შესრულდა, რაც ცოცხალთა შორის აღარ არის ზურაბ გოგია. ჩვენი პარტიის ღირსეული წარმომადგენელი, რუსთავის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი.

ზურაბი ყმაწვილკაცობის წლებიდან დაადგა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის მოწამეობრივ გზას.

80-იან წლებში იგი ფხიზელმა სუკმა დაამატიმრა და შორეული პერმის ბანაკებში სტანჯავდა.

ვერ გატეხეს, პატიმრობის შემდეგ, მან ჩვეული საქმიანობა განაგრძო. ღირსეულად გამოიარა ციხეების სატანჯველი და ღირსეულად განაგრძო საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლა.

შეესწრო კიდეც ჩვენი ქვეყნის იურიდიულ თავისუფლებას, მაგრამ ვაგლახ, მისი სიცოცხლე ბრმა ბედისწერამ შეიწირა. ზურაბს შესანიშნავი ოჯახი დარჩა. შვილები მამის კვალზე იზრდებიან.

მკითხველს გვინდა შევთავაზოთ ზურაბ გოგიას მშვენიერი მოთხრობა „ლახტი“, რომელიც დასტურია იმისა, რომ ზურაბ გოგია არა მხოლოდ ქართველ დისიდენტურ წრეებს, არამედ მთელს ქართულ ლიტერატურას გამოაკლდა ასე უდროოდ, სრულიად ახალგაზრდა.

თავს ვხრით მისი ნამდვილი მამულიშვილობის, მისი ნათელი ხსოვნის წინაშე.

„საქართველოს“ რედაქცია

ასეთი იყო ზურაბ გოგია

ერთი წელი გავიდა უკვე მას შემდეგ, რაც ქართველ დისიდენტთა არც თუ ისე მრავალრიცხოვან წარმომადგენლობას ტრაგიკულმა შემთხვევამ კიდევ ერთი თვალსაჩინო პიროვნება — ბატონი ზურაბ გოგია გამოაკლო. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ფართო საზოგადოებამ ძირითადად მიტინგებზე მიღებული ინფორმაციით იცის იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის ზეობის ხანაში ხმა აღიმაღლეს და უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადეს „ბიროტების იმპერიას“. მათთვის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება, საყოველთაოდ მიღებული დემოკრატიული იდეალების დამკვიდრება, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება ოცნების სფეროს კი არ განეკუთვნებოდა, არამედ სასიცოცხლო მოთხოვნილება იყო. ბუნებრივია, მეოცნებენი ვერ გაუძლებდნენ იმ განსაცდელს, რასაც კგბ-ს იზოლატორები და პერმის თუ მორდოვიის საკონცენტრაციო ბანაკები ერქვა. მხოლოდ თავისი იდეის სისწორესა და მისი განხორციელების აუცილებლობაში დარწმუნებულ ადამიანებს შეეძლოთ ამ რთული გზის ღირსეულად გავლა. ზურაბ გოგია სწორედ ასეთი პიროვნება იყო.

ბედისწერამ ისე ინება, რომ მე და ზურაბი ერთმანეთს საქართველოდან შორს, პერმის №36 პოლიტპატიმართა ბანაკში შეგვახვედრა 1984 წლის ზაფხულში. ზურაბი უკვე „გამოცდილი“ პატიმარი იყო — 4 წელი ჰქონდა მოხდილი და ერთიღა რჩებოდა, მე წინ 3 წელი მელოდა, თუმცა ეს ციფრები პირობითი იყო, რადგან, მიუხედავად ანდროპოვის ეპოქის გადავლისა, პატიმართა ბარაკში ოვალსაჩინო ადგილზე, დიდი ასოებით გამოკრათ მისი მმართველობის პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილება დამატება (თუ არ ვცდები 1888 III მუხლი), რომელიც შემდეგს გვაუწყებდა — „თუ პატიმარი არ დაადგა გამოსწორების გზას, მას შეიძლება ადგილზევე (ე.ი. ბანაკიდან გაუსვლელად) დაუმატონ 1-დან 3 წლამდე“. ეს მუხლი, ძირითადად, პოლიტპატიმართა წინააღმდეგ იყო მიმართული; რას ნიშნავდა დისიდენტის „გამოსწორება“ საბჭოთა ხელისუფლების თვალში, საყოველთაოდ ცნობილია — ეს იყო საჯარო მონანიება პრესით თუ ტელევიზიით, საკუთარ იდეალებზე უარის თქმა და ა.შ. რაც შეეხებათ „ურწ დისიდენტებს“ პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ კგბ— მათ წინააღმდეგ აწყობდა პროვოკაციებს, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მათი ხელახალი დაპატიმრება (ასეთი პროვოკაცია მოუწყვეს მერაბ კოსტავას გადასახლებაში, რასაც თან სდევდა სასამართლო პროცესი და ხელისუფლებისათვის არასასურველი აჟიოტაჟი დასავლეთში). ამ მუხლის მიღების შემდეგ, ყველაფერი ძალიან მარტივად წყდებოდა — თუ ჩათვლიდნენ, რომ პატიმარი არ დაადგა გამოსწორების გზას, გამოუძახებდნენ ბანაკის ადმინისტრაციაში, იქვე დახვდებოდა მოსამართლე და პროკურორი, გაფორმდებოდა სასამართლოს ოქმი, დაუმატებდნენ და დაბრუნებდნენ უკან. გამოსწორდა თუ არა პატიმარი, ამას განსაზღვრავდა ბანაკის ადმინისტრაცია, რომელიც წელიწადში ერთხელ, უფრო წლის ბოლოს, რეგულარულად, ოფიციალურად გვაცნობდა მათ მიერ შედგენილ ჩვენს დახასიათებას, სადაც, როგორც წესი, ყოველთვის ფიგურირებდა ფრაზები — „მეგობრობს პატიმართა არასაიმედო ნაწილთან, გამოსწორების გზაზე არ დგას“. აქიტომ მივიჩნევდით პატიმრობის ვადებს პირობითად, მით უმეტეს, რომ ამ მუხლის გამოყენების პრეცენდენტები უკვე იყო და ჩვენ ამის შესახებ ვიცოდით.

და მაინც, ბანაკის დაუწერელი კანონების მიხედვით, პატიმრობის ბოლო პერიოდში ან თუ პატიმარი შეხვედრას ელოდებოდა, შეეძლო შედარებით ფრთხილად მოქცეულიყო, არ გამოეჩინა ზედმეტი აქტიურობა, რადგან პატიმრის გასვლა შეხვედრაზე ან გათავისუფლება ანუ „დიდ ზონაში“ დაბრუნება (ასე ვეძახდით საბჭოთა კავშირს პატიმრულ ჟარგონზე), უპირველეს ყოვლისა ზონიდან ინფორმაციის გასვლას ნიშნავდა, ეს კი ყოველი ჩვენგანის ინტერესებში შედიოდა. როგორც ვთქვი, ზურაბს ერთი წელი ჰქონდა დარჩენილი და შეეძლო „მშვიდად“ ყოფილიყო, ანუ მონანილეობა არ მიეღო შიმშილობებში, გაფიცვებში ან სხვა საპროტესტო აქციებში. მაგრამ ის სხვაგვარი ბუნების კაცი იყო, უფრო მეტიც, მახსოვს, ერთხელ ადმინისტრაციაში მორიგი გამოძახების შემდეგ დაბრუნებულმა ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად განაცხადა (ბანაკში მიღებული წესია — ადმინისტრაციასთან შეხვედრის შემდეგ, პატიმარი დაწერილებით აცნობს დანარჩენებს საუბრის ყველა წვრილმანს): — „მაგენი მგონი მეხუმრებიან, კარცერი მომცეს და თანაც 3 დღით, ახლა მე მაგის კაცი ვარ, 3 დღეში გამოვიდე, თუ ჩაჯდომაა 10 დღით მაინც უნდა ჩავჯდეთო.“ მართლაც 3 დღით ჩასვეს და 13 დღის შემდეგ გამოვიდა. როგორც გაირკვა, დამატებითი 10 დღე უკვე კარცერში გამოიმუშავა — გამოაცხადა შიმშილობა (შიმშილობა რეჟიმის უხეშ დარღვევად ითვლება) და საპროტესტო განცხადება გაუგზავნა სსრკ-ს გენერალურ პროკურორს.

ასეთი იყო ზურაბ გოგია. ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდია მისი პატიმრული ცხოვრებიდან, იმ ცხოვრებიდან, რომელიც მისი ბიოგრაფიის დამამშვენებელი ნაწილია და რომელზედაც საჯაროდ და სახალხოდ ლაპარაკი, მით უმეტეს, რეკლამირება და პოლიტიკური კაპიტალის დაგროვება, არ უყვარდა. ეგ კი არა, ისე ჩავიდა სამარეში, რეაბილიტაციაც არ ღირსებია, არც მას და არც სხვა პოლიტპატიმრებს. ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში გატარდა ასეთი ღონისძიება, ჩვენთან — არა! როგორც ეტყობა საქართველო ამ საკითხშიც გამონაკლისია. გასაგები მიზეზების გამო არც გამსახურდიას ხელისუფლებას სურდა პოლიტპატიმრებზე საუბარი და კიდევ უფრო გასაგები მიზეზების გამო არ სურს ეს დღევანდელ ხელისუფლებას. კაცმა რომ თქვას, პოლიტპატიმრებისათვის ამ აქტის განხორციელებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლებისა და საზოგადოებისათვის, თუკი ეს ხელისუფლება და საზოგადოება ქვეყანაში დემოკრატიის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას რეალურად ფიქრობს.

ვახტანგ ძაბირაძე

პროზა

ლ ა ხ ტ ი

ზურაბ გოგია

ივლისის თაკარა დღე უძრავად ჰკიდია გავარვარებულ ჰაერში. ბავშვის უმანკო თვალებივით მოკრიალებულ ცის თაღზე ღრუბლის ფთილასაც ვერ მოკრავ თვალს. ჯარისკაცებს სიმხედრო გიმნასტურები შეეკრთლებულ მოლზე გვიფენია და ზედ წამოწოლილნი ვეფიცხებით ცხარათვალა მზეს.

კვირა დღეა, ყველაზე მოსაწყენი დღე ნაწილში დარჩენილი ჯარისკაცებისათვის. საღამომდე რა გაძლებს, თორემ ვახშმის შემდეგ კინოფილმს მოიტანენ და ცოტას გავერთობი მაინც. გუშინ რამდენი არ ვეხვეწეთ პროპორშჩიკ ჩორბას, ასმეთაურისათვის რამენაირად საშვი ეთხოვა ჩემთვის და ოცეულის ბიჭებს ქალაქში გვესეირნა, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. გასულ კვირასაც მივქარე რომ გაგიშვითო, კაპიტან ანდრეევს ვუთხარი, მუზეუმის დასათვალიერებლად მიდიან-მეთქი, თქვენ კი ვოლგაში ჭყუმპალაობდით და პლაჟზე გოგოებს ეღლაბუცებოდით. ვემუდარეთ, ვეჩიჩინეთ, ხან საიდან შემოვუარეთ და ხან საიდან, დანილოვმა ისიც კი უთხრა, შვებულებაში რომ წავალ ხუთ კილო „ობლას“ გამოგიგზავნით ასტრახანიდანო (ხმელი თევზი პროპორშჩიკის აქილევსის ქუსლია), მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. ჩვენ კიდევ კაპიტან ანდრეევს ვერ გავუბედეთ თქმა, ვიცოდით მისი მკაცრი ხასიათი. მისი ცხოვრების ძირითად არსს სამხედრო წესდების დაცვა და დისციპლინა წარმოადგენდა მხოლოდ. ჯერ ოცდახუთისა არ იყო და უკვე კაპიტნის წოდებას ატარებდა, მოკლედ, იგი ნამდვილ ჯარისკაცად იყო დაბადებული. მიუხედავად ხასიათისა, ასეულში ყველას გვიყვარდა და პატივსა ვცემდით. დილით, სამწყობრო სვლის გასინჯვაზე როცა დაგვაყენებდა, ერთს გადმოგვავლებდა თვალს და თავისებურად შეგვაგულიანებდა:

— აბა, ჩემო არწივებო, ვაჩვენოთ კლასი ბატალიონის მეთაურს!

გაგვიძღვებოდა წინ გამართული, სამწყობრო ნაბიჯით და ჩვენც „ნე პლაჩ დევჩიონკას“ ღრიალით ავუწყობდით ფეხს.

გასულ კვირას მართლაც მუზეუმის დასათვალიერებლად გაგვიყვანა ნაწილიდან პროპორშჩიკმა. ქალაქში მარტო დაგვყარა და თვითონ პაემანზე გაიქცა. ოცეული მე ჩამაბარა და მითხრა: როგორც კი მუზეუმს დაათვალიერებთ, შინისაკენ მოუსვითო. ბიჭებმა პირობა მივეცით, მაგრამ გაგიგონია?! ვოლგის სანაპიროზე წამოკოტრიალებულ ნახევრადშიშველ გოგონებს რომ მოვკარით თვალი, ისე დაგვაჭირა მზემ, მუზეუმიც გადაგვავიწყდა და მოცემული პირობაც, დაბინდებამდე პლაჟზე ვინებივრეთ, მერე გოგოებს გავყევით პარკში. საღამოს ცეკვებზე. ნაწილში გვიან მისულებს კაპიტანმა სამზარეულოში გვიკრა თავი და შუაღამემდე ძირგამომწვარი ქვაბები გვახეხინა.

ვწევართ ახლა მოლზე წრიულად, გვირილას ფურცლებივით და მწველი სხივებით ვიმუხტებით. მე და მოროზოვს (იგივე „ფილოსოფოსა“) ჭადრაკის დაფა გვიდევს წინ და ჟურნალიდან ამოხეულ ფურცლებზე დაბეჭდილ რომელიღაც ეტიუდს ვარჩევთ, მაგრამ არაფერი გამოგვდის, ვერა და ვერ აშამათებენ თეთრები მოწინააღმდეგის მეფეს სამ სვლაში.

ალამბეკ დაშაევს (ბიჭებმა თავიდანვე „დარეხვილად“ მონათლეს) ამ ერთი კვირის წინ კაჭკაჭის ბახალა აჩუქა ვიღაცამ. „ფილოსოფოსამ“ უთხრა, თუ კარგა გაწვრთნი, თუთიყუშივით დაიწყებს ლაპარაკსო, და შეგვიკლა მას შემდეგ ამ ვირიშვილმა ხელში ცალკე ჩვენ და ცალკე კაჭკაჭი. ახლაც სიცხისაგან მისავათებული ფრინველი მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე მიუბამს ბაწრით და მთელი მონდომებით ჩასძახის საკუთარ სახელს.

— ე, ბიჭო, შედი მაგ საცოდავის მდგომარეობაში, ხომ ხედავ არ სიამოვნებს შენი სახელის გაგონება! — ეუბნება გაღიზიანებული დანილოვი.

— ხელს ნუ გვიშლით! — დინჯად პასუხობს დაშაევი.

— მე იმის ცოლი და დედა, ვინც შენ ეგ გაჩუქა! — ვეღარ იტანს დაშაევის დამშვიდებულ სიფათს დანილოვი და გვერდს იცვლის.

— ალამბეკ, ალამბეკ, ალამბეკ!.. — ჯინაზე ხმამაღლა იმეორებს ჩეჩენი და თვალებში შეჰყურებს ფრინველს.

— დაშაევ, — მზრუნველი ხმით ურჩევს დვორეცკი, — ეტყობა უჭირს მაგხელა სახელის წარმოთქმა. იქნება გვარზე გეცადა.

ალამბეკმა იქვით გადახედა, ხომ არ დამცინისო და მერე „ფილოსოფოსას“ მიუბრუნდა.

— მოროზოვ, მართალს ამბობს დვორეცკი?

— რაო, — თავი ასწია მოროზოვმა და თითით სათვალე შეისწორა.

— აი, კაჭკაჭზე... გვარს უფრო დაიმახსოვრებსო!

— არავითარ შემთხვევაში! — პათეტიკურად უპასუხა „ფილოსოფოსამ“ — მოთმინე-

დასასრული მე 6 გვ.

პროზა

ლ ა ხ ტ ი

ზურაბ გოგია

მეხუთე გვერდიდან

ბა, მოთმინება და მხოლოდ მოთმინებაა საჭირო მიზანს რომ მიაღწიო.

— როდემდე მერე? — სახე შეუფიქრიანდა ჩიჩენს.

— ბოლომდე!

— გატყუებენ შე დარეხვილო! — თავი ვეღარ შეიკავა დანილოვმა და ახლა მოროზოვს ეცა, — რა გააჭირე შენც საქმე მაგ შენი ფილოსოფიით, ვერ ატყობ ამ დარეხვილს ყველაფერი რომ სჯერა? გაიყვანე მაშინ და შენს გვერდით დაწვინე საწოლზე, ბიჭოს... ეს ერთი კვირაა ძილი და მოსვენება აღარა მაქვს მაგისაგან. შუაღამისას გადმომაქაჩვინებს თვალებს ეს ვირიშვილი და მეუბნება: გაიგონე, ჩემმა კაჭკაჭმა სახელი რომ დამიძახო...

ბიჭებს ხარხარი აგვიტყდა.

—იცინეთ, იცინეთ, ჰო!... მე კიდევ კარადის უჯრა ვერ გამიღია შიშისაგან, კბილის ჯაგრისი, პასტა და საპონი სულ ამ შობელძაღლი ბარტყისაგანაა დასკლინტული... ერთხელაც ავდგები და მაგ კაჭკაჭს კისერს წავაწყვეტ!

— ჰოო? — მუქარით ჩაეცინა დაშაევს, — წააწყვეტ და მეც თავს წაგაწყვეტ.

— ოი, ვინც შენ საგიჟეთის მაგივრად ჯარში წამოგიყვანა, იმისი დედა ვატირე მე! — იგინება დანილოვი და მუშტს ურტყამს მიწაზე.

უცბად კაჭკაჭმა მთელი ხმით დაიჩხავლა და ყველას ყურადღება მიიქცია. ჩიჩენს აღტაცებისაგან თვალები აუციმციმდა.

— აბა, ჰე, მიდი, მიდი! — შეაგულიანა ფრინველი გახარებულმა, — დაუმტკიცე ერთი ამ ვირისთავ დანილოვს, რომ მართლაც უტვინო არა ხარ!..

ბარტყმა დაამტკიცა თავისი „გენიოსობა“ — უკანალი ასწია და ზედ ხელისგულზე დაასკინტლა მწვრთნელს.

— უხ, შენი! — შეუკურთხა ალამბეკმა და გასვრილი ხელი ბალახზე შეიწმინდა.

ბიჭები ერთმანეთს შევასკდით. დანილოვი ზურგზე ამოტრიალდა და ისეთი ხარხარი ატეხა, ვიფიქრე საცაა გაიფხრიწება მეთქი. დაშაევი თავის მოლაპარაკე კაჭკაჭიანად ყაზარმისაკენ გაიძურწა.

როგორც იქნა დავწყნარდით.

— მოკლავს საწყალ ბარტყს! — სერიოზული ხმით წარმოთქვა უზბეკმა ახმედოვმა.

— ოღონდ მაგ დღეს მოვესწრებოდე და!... — თვალები საკუთარ შუბლს მიაჭირა დანილოვმა.

ეტიუდების გარჩევა მოგვწყინდა. ზურგზე ამოვტრიალდი. ელვარე ბურთს მივაჩერდი თვალმოჭუტული. ყველა დუმდა. ივან ბოტუხი, ყველაზე ტანდაბალი ბიჭი ასეულში და მგონი მთელს ბატალიონშიც, რაღაც უკბილო ანეგტოდს მოყვა. არავის გასცინებია. აიუპოვმა გვერდულად გადაულაპარაკა.

— ეი, მოკლე, როცა არა გაქვს მოყოლის შნო, მოკეტე მაინც!

— მე თქვენი გულისათვის მოვყე, იქნებ გავამხიარულო ბიჭები მეთქი, თორემ თუ არ გინდათ, თქვენი ჭკუაც!..

— უმისამართოდ ნუ იგინები, თორემ ჩამოგიღე ჩანები! — შეუღრინა დანილოვმა.

ისევ სიჩუმე.

სადილობამდე მთელი სამი საათია. რა გავაკეთოთ, აღარ ვიცით. პროპორშჩიკმა ბურთიც არ მოგვცა, ცოტა რომ თავი შეგვექცია.

— ქართველო! — ეს დვორეცკია, — მოიფიქრე ჭკვიანური რამ!

— რა მოვიფიქრო!

— აბა, ასე ვეყაროთ გოჭებივით?! მოგვიყევი მაინც რამე საინტერესო.

— საქართველოს ისტორია არ მოყვე ოღონდ! — წინდაწინ გამაფრთხილა დანილოვმა, — უკვე დაზეპირებული მაქვს.

გამეცინა და გვერდი ვიბრუნე.

— აბა, სტეპკა რაზინზე მოგიყვებით!

— მაგი უშენოდაც ვიცით! — ზანტად წარმოთქვა დანილოვმა, შემხმარი ბალახის ღერო მოგლიჯა და მთვლემარე ახმედოვს ბიბილოზე აუსვ-დაუსვა. ახმედოვი დაფეთებული წამოვარდა, თან ცალი ხელით ყურს იბერტყავდა. დანილოვის ხელში ბალახი რომ დაინახა, არც აცია, არც აცხელა და ამ უკანასკნელს უკანალზე გვერდით დაგდებული ქამარი გადაუჭირა.

— მოვკვდი შე..! — დაიკლაკნა დანილოვი და ქამრის ბოლოს ხელი უტაცა, — შენ რა, დაიცენტრე? თუ ხუმრობა არ იცი!

— მეც გეხუმრე! — გაუკრიჭა ახმედოვმა და ისევ წამოწვა.

— დაისიცხა ეს ხალხი, ძმაო! — სახე დაეშინჯა დანილოვს და დაშავებულ ადგილზე ხელი მოისვა.

ამ ამბავმა უცებ გონებაში მივიწყებული მოგონება ამოატივტივა და წამოვიწიე.

— მოდი, ბიჭებო, ლახტი ვითამაშოთ!

ყველამ ჩემსკენ შემოაბრუნა თავი.

— რაო, რა ვითამაშოთო? — გაოცებული შემეკითხა მოროზოვი.

— ლახტი, არის ასეთი თამაში, ქამრებით!

— ქამრებით? — ცალი თვალი მოწკურა დანილოვმა, — ქამრები რა საჭიროა!

— სწორედ რომ საჭიროა. მისმინეთ და ახლავე აგიხსნით, — წარმოვთქვი და ბიჭების ცხვირწინ წრე შემოვავლე თითით, — გავიყოფით ორ ჯგუფად, მერე კენჭსა ვყრით და რომელ ჯგუფსაც მოუწევს წრეში ჩადგომა, ყოველი მათგანი წრეხაზის გასწვრივ განლაგდება და თავის წინ დადებულ ქამრებს დაუწყებს დარაჯობას. წრეხაზის გარეთ დარჩენილები ცდილობენ მოწინააღმდეგეს ქამრები წაართვან, თან ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან თუ ქამრის დარაჯმა მოასწრო და წრიდან გამოუსვლელად თავისი ფეხი ფეხზე დაადგა, მაშინ ეს უკანასკნელი „დაჭრილად“ ითვლება და ახლა მასთან ერთად მის ამხანაგებს მოუწევთ წრეში ჩადგომა...

ბიჭები ცნობისმოყვარედ მისმენდნენ და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს ჩემი ხელების მოძრაობას. ვცდილობდი, რაც შეიძლება დაწვრილებით ამეხსნა ლახტის წესები, თუმცა ბევრი ასახსნელი და თავისსამტვრევი აქ არაფერი იყო.

— ვთქვათ და ყველა ქამრები წავართვით ისე, რომ არ დავიჭერით, მერე რა უნდა ვქნათ? — ქვემოდან ამომხედა დანილოვმა.

— რა და უნდა ვურტყათ ქამრები მოწინააღმდეგეს, ოღონდ წელს ქვემოთ!

— უკანალზეც? — სახე მოეღრიცა დანილოვს.

გამეცინა.

— ჰო, უკანალზეც!

— მაშინ მე „პასი“... მოიგონებ შენც კიდევ რა...იჰ!

— სხვათა შორის ლახტი ქალაჩუნებისათვის არაა მოგონილი. თუ ვინმე თამაშს თვითნებურად გამოეთიშება, ჯარიმის სახით სამჯერ უნდა შემოვცხოთ ქამარი.

— ჭკუის კოლოფო, ამსისქე ქამარი რომ მოხვდეს ვინმეს, ხომ მიაბარა სული ალაჰს!

ზემოთ ავიხედეთ.

ჩიჩენი წამოგვდგომოდა თავზე შეუმჩნევლად და თურმე ყურს გვიგდებდა.

— კაჭკაჭი რა უყავი, მაესტრო! — შეჰღიმა დანილოვმა.

— დისციპლინის დარღვევისათვის ჰაუპტვახტში ჩავკეტე ორი დღით! — სერიოზულად წარმოთქვა ალამბეკმა.

დანილოვის გარდა ყველას სიცილი აგვიტყდა.

— შე ვირიშვილო, იმ უჯრას ფანერის ნაჭერი მაინც ჩაჭედე შუაში და შენს ნახევარში კაჭკაჭი კი არა, თუ გინდა ბეჰემოტი ჩაამწყვდიე...

— მართლაც, ზურაბ, — მომიბრუნდა ახმედოვი, — ეს ქამრები სულს ამოხდის ადამიანს.

— შარვალზე ხომ ყველას გვაქვს ბრეზენტის უაბზინდო ქამრები, ეგენი ვიხმაროთ. წელზე კი მაგათ მაგიერ ეს უხეში ქამრები შემოირტყით, შარვლები რომ არ ჩაგძვრეთ.

— ჰო, ასე შეიძლება!

— აბა, ვისაც გინდათ, წამოდექით!

დანილოვი არ განძრეულა ადგილიდან მხოლოდ.

— ასტრახანელო, შეგეშინდა? — დაცინვით გადაულაპარაკა ჩიჩენმა.

— შემეშინდა? ჰმ. ... არაფრისაც არ შემშინებია, ცოტა ცხელა თორემ...

— ადე, ჰო, ნუ ინაზები...

— ქართველო, იმ შემთხვევაში ვითამაშებ, თუ ეს ბატისტვინა ჩიჩენი და ახმედოვი ჩემს მოწინააღმდეგე ჯგუფში იქნებიან, ერთი მინდა ორივეს გემოიანად ავუჭრელო საჯდომი! — მითხრა დანილოვმა.

— ვნახოთ, ვინ ვის! — დაემუქრა ახმედოვი.

არჩევანი მე და დვორეცკიმ დავიწყეთ. დანილოვი, „ფილოსოფოსა“, ბოტუხი და ვართანიანი ჩემთან მოხვდნენ, ხოლო ჩიჩენი, ახმედოვი, მინკო და აიუპოვი — დვორეცკისთან.

ადგილი, აბანოს უკან, მწვანე მინდორზე შევარჩიეთ. სახანძრო დაფიდან წერაქვი ჩამოვხსენით და იმით შემოვხაზეთ წრე, რადგან სხვა ვერაფრით დავამჩნიეთ კვალი ბალახით დაფარულ მიწას.

კენჭი ვყარეთ. წრეში დვორეცკის ხალხს მოუწია ჩადგომამ.

ქამრები წინ დაიწყეს და... გაჩაღდა ლახტი.

—თავიდან ათას კითხვებს მაყრიდნენ აქეთ-იქიდან.

მერე და მერე ალღო აუღეს თამაშს და თანდათან ეშხში შევიდნენ.

პირველ ხელზე ადვილად დავითრიეთ ქამრები და ქორებივით დავერიეთ. დანილოვი მთლად გადაირია, ეს რა მოიგონეო, ამდენ ხანს სად იყავი, ამ ჩიჩენის ჯავრი რომ მეყარაო და ა.შ.

წრის შიგნით მყოფნი დამფრთხალი წიწილებივით აწყდებოდნენ აქეთ-იქით, ზოგიერთები თავს ვერ იკავებდნენ და გარეთ გამორბოდნენ. აი მაშინ კი ატყდებოდა ხოლმე ქამრების ზუზუნი და სიცილ-ხარხარი.

— ნუ გაიშლებით, ნუ! — ვუყვირიოდი გარედან, — შუაგულში შედით და ზურგით მიეყრდენით ერთმანეთს... ასე.

— ჭკუის კოლოფო, გირჩევნია ის მითხრა, მოწინააღმდეგის ხელით დაჭერა თუ შეიძლება! — გამომძახა დაშაევმა და თან გამწარებით იზელდა ნაქამრევ ადგილებს.

— როგორ არ შეიძლება! თუ მოახერხეთ, ტაცეთ ხელი და შეითრიეთ შიგნით.

— აბა,მოვიდა სტეპკა რაზინი! — დასჭყივლა უცბად სახეაჭარხლებულმა დანილოვმა და ისეთი უსუსხა ახმედოვს, რომ მგონი ერთიანად ამოიყარა წელანდელი ჯავრი.

— უჰ, შენი!... — შესძახა უზბეკმა და მე გამომხედა, — გინება შეიძლება, უფროსო?

— არა, გინებაზე ჯარიმაა! — გავაფრთხილე სიცილით.

უცებ ჩიჩენმა შიგნით შევარდნილ დანილოვს უგანა და კვანტი გამოსდო. დანილოვმა ხელები ზე აიქნია და მიწაზე გაიშხლართა. ყველა ზედ მიცვივდა.

— დაიჭრა, დაიჭრა! — აყვირდნენ ერთხმად და ჩექმები მტვრიანი ლანჩებით ამოუგანგლეს.

— ასე იცის მეტისმეტმა სითამამემ! — დააფილოსოფა მოროზოვმა და ქეჩოში წამოუთაქა.

დარცხვენილი დანილოვი ფეხზე წამოდგა.

— გული ხომ მოვიოხე და...

— ბედოვლათო, ჩვენ რაღას გვერჩოდი. ახლა შენი გულისათვის ჩვენც ხომ უნდა მოგვხვდეს! — უსაყვედურა ვართანიანმა.

— არა უშავს, ბიჭებო, ნუ გეშინიათ, — დავამშვიდე ჩემიანები, — ქამრის გემო ერთხელ მაინც თუ არ იწვნიეთ, ისე რა ფასი აქვს ამ თამაშს.

ყველას მოეწონა ლახტი. მალე გულშემატკივრებიც შეგროვდნენ და გაოცებული გვიმზერდნენ, რას ჩადის ეს ხალხიო.

პირველად ტანდაბალი ბოტუხი დაიბრიყვეს და ქამარი ააღლიტეს. ერთი-ორი მისცხეს კიდეც. დამფრთხალი ვიტია ჩემსკენ გამოიქცა.

— მიდი, „ფილოსოფოსას“ მიეხმარე, მე არ მჭირდები!

ბიჭები ყოჩაღად იყვნენ. სხვას ვერა და ვერ წაგლიჯეს ქამარი. დვორეცკი ბოტუხისაგან გატაცებულ ქამარს ჰაერში აზუზუნებდა და ჩემს შეშინებას ცდილობდა, მაგრამ ვერ მივართვი. რამდენჯერმე ფეხებზეც შემომარტყა, არც ისე მტკივნეული იყო, მითუმეტეს ჩექმის ყელები გვიფარავდა წვივებს.

ალამბეკი მომიახლოვდა და ჩემს მოსყიდვას შეეცადა.

— ზურაბ, ხომ ვართ კავკასიელები, „ზემლიაკები“. ოღონდ ეგ ქამარი გამატანე და დანილოვის გარდა, ორ-სამ ვინმეს შემოვარტყა, სინდისს გეფიცები.

— სინდისს არა, ჩიჩენო, კაჭკაჭი დაიფიცე!

— გეფიცები კაჭკაჭსაც და ყველაფერს, არც ახლა გჯერა? გეუბნები სხვას ხელს არ გახლებთ მეთქი. ჩიჩენის სიტყვა კანონია!

— ვერა, ალამბეკ, ამხანაგებს ვერ ვუღალატებ, — ვუთხარი სიცილით და ხელები გავშალე. — ა, მოდი და წაიღე, თუ ბიჭი ხარ!

— მერე რომ დამჭრა?

— დაგჭრი და ჩადგებით წრეში!

ალამბეკს თვალში არ მოუვიდა ასეთი პერსპექტივა, ხელი ჩაიქნია და შეტრიალდა. უცბად, ადგილიდან მოსწყდა, „ფილოსოფოსას“ წინ მიწაზე გადაკოტრიალდა და ქამარი აიტაცა. დაყვირებაც ვერ მოვასწარი, რომ ვიღაცამ ძლიერად მიბიძგა ზურგზე და წრიდან გამაგდო. ახმედოვი მომპარვოდა შეუმჩნევლად თურმე. მალე მინკომ და აიუპოვმაც დაითრიეს ქამრები და ახლა ჩვენ ჩავცვივდით ჯოჯოხეთში.

— ცენტრში, ცენტრში მოდით ყველა! — გავძახე ამხანაგებს და წრეხაზის შუაგულისაკენ მოვიხმე ისინი, — ასე, ხელი უტაცეთ ქამრებზე და შემოითრიეთ!

— მერე არ გვეტკინება?! — შემეკითხა ბოტუხი და ფეხებში მებლანდება.

— ხელს ნუ მიშლი, რას დამდევ ლეკვივით! — შევძახე და დვორეცკის მოქნეულ ქამარს ხელი შევაშველე.

— რას ჩადიხართ, თქვე არამზადებო! — გაისმა მჭახე ხმა და უცბად სიჩუმე ჩამოვარდა.

ავიხედე და პროპორშჩიკი ჩორბა არ წამოგვდგომია თავზე.

— არაფერს, ამხანაგო პროპორშჩიკო, ვერთობით! — გამოვეჭიმე წინ.

— ჰმ. ერთობით არა? ერთი წუთით ვერ უნდა მოგაცილოთ კაცმა თვალი... მომეცით აქ ქამრები!

— ამხანაგო პროპორშჩიკო, — წამოიწყო სახეაჭარხლებულმა დვორეცკიმ, — ჩვენ ხომ არაფერს ვაშავებთ, მხოლოდ...

— მალჩაატ! — დასჭყივლა ჩორბამ და კისრის ძარღვები ლამის დააწყდა — დაეწყეთ ყველა ვინც ჩხუბობდით.

— ჩვენ არ ვჩხუბობდით, ამხ...

— რაზგავორი... მე თქვენ გიჩვენებთ სეიროს. ყაზარმისაკენ ნაბიჯით

!

მწყობრში ლაპარაკი არ შეიძლება, ეს ყველა ჯარისკაცმა იცის. მაინც თავი ვერ შეეკავე და ვცადე ამეხსნა საქმის ვითარება.

— რიგითო შველიძე, კიდევ ერთი სიტყვა და ჰაუპტვახტში ამოყოფ თავს!

— დაანებე თავი, ზურაბ! — მიჩურჩულა ჩიჩენმა, — დაწყნარდება და მერე ავუხსნით ყველაფერს.

ჩორბამ ქამრები ყველას ჩამოგვართვა და წელსზემოთ შიშვლები სამწყობრო ნაბიჯით მიგვიყვანა ყაზარმასთან.

მოსაწევთან კაპიტანი ანდრეევი და სხვა ასეულის ოფიცრები იდგნენ. თამბაქოს აბოლებდნენ, თან რაღაცაზე ბაასობდნენ წყნარად.

პროპორშჩიკმა მოშორებით შეგვაჩერა. ოფიცრებს მიუახლოვდა, ხელი აუღო კაპიტანს და გაცხარებით დაუწყო ლაპარაკი. ბამუშ-ბამუშ ჩვენსკენ გამოიჭვეტა ხოლმე ქამრიან ხელს.

მოლოდინით შევცქეროდით,

დასასრული მე 6 გვ.

ПРОЗА

ლ ა ხ ტ ი

ზურაბ გოგია

მეექვსე გვერდიდან

თუ რა მოჰყვებოდა ამ ამბავს. ალამბეკმა თავი ვეღარ შეიკავა, სამსართულიანი მიაყოლა პროპორშჩიკის მისამართით და კბილების ღრჭენით წარმოთქვა:

— ერთი ეგ ჩორბა შემახვედრა ჩემი აულის ყურეში და მეტი არა მინდა რა... გაბერავს ახლა კაპიტანს და უმტკიცე ძერე, რომ ჩვენ არ გვიჩხუბია...

— წყნარად, ბიჭებო, მოდის!

— გაგვაფრთხილა მოროზოვმა.

ანდრეევი ოფიცერთა ჯგუფს გამოეყო და ჩორბას თანხლებით ჩვენსკენ გამოემართა. შეკრული წარბებიდან ისე მკაცრად გვიმზერდა, მომეჩვენა თითქოს მზემ დაბლა ჩამოიწია და თავის ქალა ლამის ამხადოს მეთქი. ასევე განიცდიდნენ ბიჭებიც, რადგანაც ყველამ უწყოდა, თუ როგორი გაბრაზება იცოდა ასმეთაურმა.

კაპიტანი მოგვიახლოვდა. თავიდან ბოლომდე ჩაუარა მწყობრს, თან მოქუფრულ მზერას არ გვაცილებდა არცერთს. ქანდაკებასავით გაშეშებულნი ვიდექით და ველოდით მეთაურის დაქუხებას.

ანდრეევი ჩემს წინ აისვეტა. ერთხანს თვალებში მიყურა და უცბად მკითხა:

— რიგითო შველიძე, მომახსენე რაზე მოგვივდათ ჩხუბი!

— ჩვენ არ ვჩხუბობდით, ამხანაგო კაპიტანო!

— რაო, არ ვჩხუბობდითო!

— სჭექა მეთაურმა, ხელი წაავლო მხარში ალამბეკს, შემოაბრუნა და ჩალურჯებულ ღაწვზე მიადო თითი, — მაშ რაა ეს, თუ არ ჩხუბობდით... იქნებ ამასაც თამაშით შეუნგრიეთ ღრანჩი, — მწყობრიდან გამოიყვანა ტუჩგახეთქილს მოროზოვი, — შენც თამაშის დროს დაგაჯინეს მაგხელა კოპი შუბლზე? — ირონიით შეეკითხა ვიტია ბოტუხს.

— ტაკ ტოჩნა! — რაც ძალა გაიჭიმა ვიტკა.

— თქვენ რა, კოლექტიურ შეთქმულებას მიწყობთ? — უფრო საეღრუბლა სახე კაპიტანს, თუ გგონიათ, რომ... ახლავე ჰაუპტვახტში გაგაგზავნით ყველას და იქ მოხვალთ ჭკუაზე. პროპორშჩიკო!...

ვეღარ მოვითმინე და ასეულის მეთაურს სიტყვა შევაწყვეტინე, რითაც უხეშად დავარღვიე სამხედრო განაწესი.

— ამხანაგო კაპიტანო, დამრთეთ ნება, მოგახსენოთ!

— რაო, — ფიცხლად შემობრუნდა ანდრეევი და შევატყვე მართლაც რომ დაკარგა წონასწორობა, მაგრამ უკან აღარ დამიხევია, არც ისე აგვცდებოდა ჰაუპტვახტი და არც ასე.

— ამხანაგო კაპიტანო, გეფიცებით ჯარისკაცულ სინდისს, მართლაც ვთამაშობდით და არც ერთ ჩვენგანს ჩხუბი აზრადაც არ მოგვსვლია! — მივაყარე სხაპასხაპით და ღრმად ამოვისუნთქე.

ასმეთაური ნელი ნაბიჯით წამოვიდა ჩემსკენ, თან თვალს არ მაცილებდა. ბიჭები დაიძაგრნენ. ახლა კი მორჩა, აფეთქდა ნაღმი. ჩორბამ თვალები დამიბრიალა, რადგან იცოდა, ანდრეევი მასაც მიუზრავდა. როგორ! მისმა ჯარისკაცებმა სამხედრო კანონების ელემენტარული წესებიც არ იციან?

მწყობრის წინ მდგომ მეთაურს სიტყვას აწყვეტინებდნენ?

მაგრამ მოხდა სასწაული.

კაპიტანი ორ ნაბიჯზე შეჩერდა ჩემგან და თვალი თვალში გამიყარა.

— განაგრძე!

— დიახ, ვთამაშობდით, — ნერწყვი გადავყლაპე, — არის ასეთი თამაში, ლახტი...

— ლახტი? ... იყავით მოწყალე და ამიხსენით, რა ველური თამაშია ასეთი, როცა ერთმანეთს ცხვირ-პირს უზელენ?

— სულაც არაა ველური თამაში, ამხანაგო კაპიტანო, პირიქით, ვაუკაცურია! ჩვენთან, საქართველოში დიდმა თუ პატარამ იცის იგი და არც უკვირთ...

— საქართველოში?... აჰა! გამოდის რომ ეს ლაა...ლა...რა ჰქვია?

—ლახტი!

— ჰო, ლახტი შენ ასწავლე ამათ, ხომ?

— ტაკ ტოჩნა!

— ორი დღე რიგგარეშე იმორიგეევებ სასადილოში!

— იესტ!

— განაგრძე და მიპასუხე, რა შუაშია აქ ქამრებით ცემა!

— ქამარი ლახტის განუყოფელი ატრიბუტია! — ჩაჭრა „ფილოსოფოსამ“ და გაიღიმა.

— რა არის რა? — თვალები მოწკურა ანდრეევმა.

— ატრიბუტი, ამხანაგო კაპიტანო! — გაიჭიმა მოროზოვი.

ასმეთაურს ღიმილის მსგავსი გამოეხატა ბაგეებზე. მერე ისევ მე მომიბრუნდა და მეუბნება:

— ვთქვათ დაგიჯერეთ, რომ არ ჩხუბობდით და მართლაც თამაშობდით, მაშ რაღა მაინც და მაინც აბანოს უკან შეარჩიეთ მოფარებული ადგილი?

— აბანოს უკან მწვანე ბალახიანი მინდორი და ჩრდილია, სწორედ ამ თამაშისათვის ზედგამოჭრილი!

კაპიტანმა დიდხანს მიყურა გამომცდელად, მერე მზერა სხვებზე გადაატარა და ბოლოს პროპორშჩიკს გახედა ცერად.

მივხვდი, რომ ჩემი სიტყვები ირწმუნა და ცოტა გულზე მომეშვა.

— მარჯვნისაკენ! — გასცა ბრძანება თავისი ვაუკაცური ხმით — ნაბიჯით იარ!

ადგილიდან დავიძარით. როგორც ერთი, ისე ისმოდა ასფალტზე ჩექმათა ნალმოჭედილი ლანჩების დარტყმის ხმა.

— ნეტავ სად მივყავართ! — მომესმა დანილოვის ხმა.

— ალბათ ტუალეტს გვახეხინებენ! — დასკვნა ალამბეკმა.

მოასფალტებულ მოედანს გავცდით, ტუალეტსაც ჩავუარეთ გვერდზე, ბრძანება კი არ იცვლებოდა და ისევ პირდაპირ მივაბიჯებდით, მართლაც რას გვიპირებს? ...

— ჩემის აზრით,ისევ ლახტის სათამაშოდ მივყავართ! — ჩავილაპარაკე ისე რომ დაშაევს გაეგონა.

ზურგსუკან ფხუკუნ-ფხუკუნი შემომესმა. ალამბეკი იგუდებოდა სიცილისაგან. ფეხი აერია და კაჩაჩში ჩექმის ჭვინტი რამდენჯერმე მომმარტყა.

— ფეხი ააწყვე, დარეხვილო! — შევუღრინე გამწარებულმა.

— ლაქლაქი მწყობრში! — ზედ ყურთან დაიქუხა ანდრეევმა და ენა გადავყლაპეთ.

აბანოს შენობასთან მივედით, ზუსტად იმ ადგილას, სადაც წელან ლახტს ვთამაშობდით.

— სდექ! — გაისმა ბრძანება.

ადგილზე გავიყინეთ.

— მარცხნისაკენ! ასე... შველიძე, ჩემთან!

მწყობრიდან გამოვედი და მხედრული ნაბიჯით გავწიე მეთაურისაკენ.

— ამხანაგო კაპიტანო, რიგითი შველიძე თქვენი ბრძან...

— არ გინდა, თავისუფლად! — შემაწყვეტინა მან, — დაიწყეთ თამაში, მინდა ჩემი თვალებით ვნახო ეგ თქვენი ლახტია თუ ჯანდაბა. პროპორშჩიკო, მიეცი ქამრები!

დაბნეულმა ჩორბამ ქამრები გამომიწოდა. ბიჭებს გადავხედე და თვალი ჩავუკარი.

— შეიძლება დავიწყოთ, ამხანაგო კაპიტანო!

— დაიწყეთ! — ხელის აქნევით მანიშნა მან და გიმნასტურის ჯიბიდან სიგარეტი დააძრო.

ბიჭები გამოცოცხლდნენ. ქამრები ჩამოვარიგე და წრეში ჩემი ჯგუფი შევიყვანე.

დასაწყისში მორიდებით თამაშობდნენ ბიჭები. ცალი თვალი მეთაურისაკენ ეჭირათ. მაგრამ როცა ზოგიერთებმა ისარგებლეს ამით, ქამრები დაითრიეს და ჰაერში ააზუზუნეს, მაშინ კი აირია მონასტერი, კაპიტანიც გადაგვავიწყდა და წეღანდელი უსიამოვნებაც. ერთი-ორჯერ გავიხედე ანდრეევისაკენ, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს თამაში მეთქი და ორჯერვე ისეთი მწყვიტა დვორეცკის ქამარი, ლამის შევყვირე სიმწრისაგან.

— აქეთ მოდით, აქეთ — ვეძახდი წიწილებივით დაფანტულ ჩემიანებს, — ზურგით დადექით, ერთმანეთთან და უკანა მხარე დაიცავით... დანილოვ, ნუ დაკვინტრიშობ ცერცეტა თხასავით, თორემ ვეღარ დაწვები ამაღამ გულაღმა... ვართანიან, სტაცე, სტაცე ხელი, არ გაუშვა... უჰ, შე დოყლაპია, შენა!...

— ზურაბჯან, ეს რა დღეში ჩავვარდით, კაცო!

თვალი ვკიდე, ალამბეკი მორბოდა ქამრის ქნევით. როგორც კი მომიახლოვდა, მეც მისკენ გავექანე. ჩეჩენმა თავი ვერ შეიკავა და ზედ შემომასკდა. აღარ დავაყოვნე და ფეხი ფეხზე დავაჭირე, თუმცა ამასობაში რამდენიმე ქამარი ერთდროულად ატყლაშუნდა ჩემს ტანზე.

— დაჭრილი ხარ, შეჩერდი!

— აიღე ფეხი, ჰო, ნუ გადამაღლიტე „მაზოლი“!... — ტირილნარევი ხმით წამოიძახა ალამბეკმა.

წრიდან გამოვედით და ახლა ჩვენ გავემზადეთ თავდასასხმელად.

— შველიძე!

— გისმენ, ამხანაგო კაპიტანო!

— სამზარეულოში აღარ იმორიგეევებ რიგგარეშე, სასჯელი მოხსნილია, — ღიმილით წამოვიდა ანდრეევი, თან გზადაგზა გიმნასტურის ღილებს იხსნიდა, — აი, კიდევ რა, მეც მინდა ვითამაშო, წინაღმდეგი ხომ არ იქნებით? — გადახედა აქლოშინებულ ბიჭებს.

ერთმანეთს მივაჩერდით, აღარ ვიცოდით რა გვეთქვა.

— რას შეფიქრიანდით, კაპიტნის წოდება ნუ შეგაშინებთ, თამაშში ყველა თანასწორია! — წარმოთქვა მან და გიმნასტურა ჩვენი ტანსაცმლისაკენ მოისროლა— პროპორშჩიკო, შენ ამათთან იყავი, მე შიგნით დავდგები.

— ამხანაგო კაპიტანო, მე... მე... — დაიბნა ჩორბა.

— რა მე, მე, — გამოაჯავრა ასმეთაურმა, — ჰემაროი ხომ არ გჭირს! თუ ასეა, მაშინ ეს თამაში ზუსტად ზედგამოჭრილი რეცეპტი იქნება შენთვის.

ბიჭებს ხმამაღალი სიცილი წაგვსკდა.

— აბა, მომეცით მეც ასეთი ქამარი... დავიწყოთ! — წარმოთქვა კაპიტანმა და წრეში პირველი ჩადგა.

რაღას იზამდა ჩორბა. გიმნასტურა გაიძრო და ჩვენ შემოგვიერთდა.

— თამაშის წესები ხომ გაიგეთ, ამხანაგო პროპორშჩიკო, — ირონიულად გადავულაპარაკე ჩორბას.

მან ერთი კი შემომხედა და არა უთქვამს რა.

— აბა ბიჭებო, ფრთხილად იყავით, არ დაგჭრან, ძალიან ნუ გათამამდებით. განსაკუთრებით შენ გეხება ეს, ასტრახანელო!

— არის! — გაიჭიმა დანილოვი და... ისევ გახურდა ლახტი.

ბიჭები უკვე გაიწაფნენ, წეღანდელივით ადვილად აღარ თმობდნენ ქამრებს.

ვიტია ბოტუხი ახმედოვის წინ გაწვა და ქამარს დაუწყო პოტინი. დანილოვი ჩეჩენის წინ იდგა და მარჯვე მომენტს ელოდა.

— ფეხი აიღე ქამრიდან, დარეხვილო!

— აჰა!

— ახლა იქით გაიწი!

— არა, ბიჭო, იქნებ უკანალიც მოგიშვირო დასარტყმელად!...

— ახლოს მოდი „ფილოსოფოსა“, რა ქალივით მეკურკურები შორიდან?...

— გირჩევნია შენი ნებით მომცე ქამარი, თორემ თუ წაგართვი, ლეიბივით აგიჭრელებ გვერდებს...

— მიშველეთ, ბიჭებო!...

— ეი, ვართანიან, ბოტუხს ფეხებში სტაცე ხელი, შიგნით მიათრევენ..

— არ გაუშვა, ახმედ, ცოტა კიდევ... ამხანაგო კაპიტანო, მიეხმარეთ შემოთრევაში...

— არიქა, ვიტია შეითრიონ, ლამის!

ყველა ბოტუხს მივცვივდით და გარეთ დავუწყეთ ქაჩვა. შიგნიდან კიდევ დვორეცკის ხალხი ეწეოდა.

— ფეხი მოარიდეთ, ფეხი... ფრთხილად იყავით!

— გავწყდი, თქვე ვირიშვილებო, მიშვით ხელი, ვააი!...

— არა უშავს, ვიტკაჯან, ცოტას გაგრძელდები...

— რას მიძვრებოდი, რომ მიძვრებოდი, აბა! გაუშვი კარგი, ჰი!... მაგრად ჩაავლეთ ხელი ბიჭებო!

— არიქა, ქამარი მოიტაცეს!...

— ასტრახანელო, დასცხე რაც შეგიძლია! ყოჩაღ, კარგია!...

— უჰ... დანილოვ, ჩაგსვამ ორი დღე ჰაუპტვახტში,იცოდე!...

—თამაში თამაშია, ამხანაგო კაპიტანო!

— ვაი, დედაააა!...

— გაუშვით, ბიჭებო, ხელი (ეს დვორეცკია), რომ გავწყვიტოთ და ნახევარი შემოვიტანოთ, რა აზრი აქვს, ფეხები მაინც იმათ დარჩებათ და...

სიცილი, ხარხარი, ბღლაძუნი, ქამრის სისინი, ქშინვა-ქლოშინი, არეული ერთმანეთში, როგორც იქნა გამოვათრიეთ გარეთ თვალებგადმოქაჩული ბოტუხი. ამასობაში დანილოვმა ისარგებლა ამ ქაოსით და ქამრები ააწაპნა მოწინააღმდეგეს. დვორეცკის ხალხი კაპიტანს შემოეხვია, რადგან მარტო მას დარჩენოდა წაურთმეველი.

— ვისაც ქამარი გაქვთ, გარშემო ურბინეთ წრეს! — ვუყვირი ბიჭებს, — ახლოს ნუ მიხვალთ, ურტყით, დაშალეთ ჯგუფი...

... კარგა ხანს გაგრძელდა თამაში. მიგრად დაიღალნენ ბიჭები, მაგრამ არავის უფიქრია თვითნებურად ლახტის მიტოვება.

სამჯერ დვორეცკის ბიჭებს მოუწია წრეში ჩადგომა, ორჯერ ჩვენ. მართალია კაპიტანს ერიდებოდნენ, მაგრამ მაინც იწვნია რამდენიმეჯერ ქამრის გემო. ხოლო დაშაევმა ჩორბას ისეთები წვიტა უკანალზე, რომ მის მაგივრად მე ამეწვა კანი.

ბოლოს ისევ კაპიტანმა მოიფიქრა თამაშის დამთავრება. აბანოს კედელთან მიეყარნენ დაქანცულები, მაგრამ კმაყოფილი ბიჭები. წითლად ულაპლაპებდათ ატკეცილი სახეები. ზოგიერთებს ზურგზეც ემჩნეოდათ ნაქამრევი,ეტყობოდა, გახურებულ თამაშში ვერ მოზომეს და ცოტა მეტი მოუვიდათ.

კაპიტანმა ანდრეევმა ცხვირსახოცით შეიმშრალა სახე და კისერი, შემდეგ ფილტრიანი სიგარეტი ამოიღო და ჩვენც შემოგვთავაზა. ნება-ნება ვექაჩებოდით თუთუნს და ლახტის სასაცილო ეპიზოდებს ვიგონებდით.

— როგორ მოგეწონათ ლახტი, ამხანაგო კაპიტანო! — მორიდებით მივმართეთ ასმეთაურს.

ანდრეევმა ბოლქვად გამოუშვა პირიდან კვამლი და თავი დამიქნია, შემდეგ პროპორშჩიკ ჩორბას მიუბრუნდა:

— დაჯექი, რა მიქელ-გაბრიელივით დაგდგომიხარ თავზე!

— თუმცა რაღას დაჯდები, — გაიცინა მეთაურმა, — ალბათ დასაჯდომი აღარ გივარგა... რიგითო ბოტუხო, წეღან რომ რეზინასავით გაგწელეთ, ცოტა არ მოგემატა,ვითომ?

— ეჰ, ნეტა სიმაღლე მომემატოს, ამხანაგო კაპიტანო, და ყოველდღე ვითამაშებდი ლახტს.

გაგვეცინა.

— საქართველოში ვმსახურობდი ერთ დროს, — დაიწყო კაპიტანმა მცირე დუმილის შემდეგ, — მაგრამ რაც მართალია, მართალია, ეს თამაში არ მინახავს... ისე ნამდვილად ვაუკაცური ყოფილა, თქვენებური ხასიათის, ფიცხი და სწრაფი. სხვაც ბევრი საინტერესო თამაშობა იცით ქართველებმა. ყოველ მათგანს ბოლომდე რომ ჩასწვდეს კაცი, შორეულ წარსულში ამოჰყოფს თავს. აი, ამ ლახტში თქვენი ხალხის ისტორიის რაღაც მონაკვეთი აირეკლება თითქოს. მართალს არ ვამბობ, ქართველო?

— მართალს ბრძანებთ, ამხანაგო კაპიტანო! — დავუკარი კვერი, — როგორც წრეში მოქცეულ მოლახტეებს ესხმოდნენ თავს, ასე ესეოდა საქართველოსაც ყოველი მხრიდან მტერი. ქართველ ხალხს გარეშე დამხმარე ძალის იმედი არასოდეს არ ჰქონია. მხოლოდ საკუთარი მკლავის ამარა ებრძოდა სხვადასხვა ჯურის აგრესორს. ზურგს უფარებდნენ ერთმანეთს და ხმალშემართულნი ვაუკაცურად ერკინებოდნენ მომხდურს...

— მორჩა, ჩართო ახლა საქართველოს ისტორიის ლექცია!... ჩაილაპარაკა დანილოვმა.

კაპიტანმა გაიღიმა და საათს დახედა.

— აბა, არწივებო, აბანოში ცივი შხაპი მიიღეთ და სადილისათვის მოემზადეთ, გასაგებია? ... — და ჩვენს წინ უკვე ასეულის მკაცრი მეთაური იდგა.

— გასაგებია, ამხანაგო კაპიტანო! — მივუგეთ ერთხმად და ფეხზე წამოვიშალეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი

ზვიადი

ზვიად და გიორგი შუბრეხელიძეები

„ახალგაზრდები დავრჩებით მარად, ჩვენ არასოდეს არ დავბერდებით“

„ვაი რა ძნელია სიკვდილი ლოგინში...“ უთქვამს ბრძენ პოეტს. შენ სიკვდილს მტერთან ბრძოლაში შეხვდი. 23 თებერვალს გუმისთის სანაპიროზე დაეცი. ვერ წარმოგედგინა, როგორ უნდა ეპარპაშა გადამთიელს შენს მშობლიურ მიწაზე... ჯერ კიდევ პატარუბს მამისგან გქონდათ ჩაგონებული „შენს მშობლიურ, ქართულ მიწას გედავებიან და არ დაანებოთ“... არც დაანებეთ, საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის 23 თებერვალი. მერე როგორ გიყვარდა სიცოცხლე, მუსიკა, ყვავილები, გაზაფხული, ბავშვები. შვილი მაინც დაგრჩენოდა, რომ მასზე მეზრუნა, რა იქნებოდა გაგრძელებულიყო თქვენი გენი და ჯიში. გიყვარდა მირზას ლექსები:

„და თუ ბოლომდე ტყვია
დამინდობს
და თუ გაზაფხულს შევხვდებით
ერთად“.

ვაი რომ არ დაგინდო, ვაი რომ ვერასდროს ვერ შევხვდებით ერთად.

ყველგან სიკეთეს და სიყვარულს თესდით ორივე ძმები. შენი დაღუპვის შემდეგ გიორგი გაოგნებული დადიოდა. შენ მაგივრად მის გვერდით გოგი ჩაკვეტაძე იყო, ყოველთვის განუყრელი იყვნენ, ასე იყო 16 სექტემბერს!

16 სექტემბერს გიორგი უგრეხელიძე და გოგი ჩაკვეტაძე ერთად დაიღუპნენ.

გიორგის დასაფლავება შენს გვერდით ვერ შევძელით, იქ უკვე მტრები იყვნენ, მაგრამ გოგი და გიორგი ერთად არიან.

16 სექტემბრის შემდეგ მამაც აღარ გვინახავს, არაფერი ვიცით მის შესახებ.

ომი რომ არ ყოფილიყო...

მუხლმოყრილი ვევედრებით ღმერთს, დაგბრუნდეთ ჩვენს მშობლიურ მიწაზე, ქართულ მიწაზე, მიტოვებულ საფლავებზე დაგროვილი ტკივილი რომ ცრემლადაქციოთ და თქვენს საფლავებს მოვეფეროთ.

თქვენი დედა და და

გოჩა მორჩილაძე

„იმედის“ ერთ-ერთი იმედი იყავი გოჩა! გვამშვიდებდი — „იმედის“ იმედი გქონდეთო...

სამაჩაბლოს ბრძოლებს შესწირე შენი ლამაზი სიცოცხლე. 3 წელია ჩვენს გვერდით აღარ ხარ. 32 წლის გახდებოდი, მაგრამ ვაი,რომ ყოველ გაზაფხულს აწი უშენოდ უნდა შევხვდეთ.

იზრდება შენი პატარა ფერია. მინდვრის ყვავილებით მოგაკითხავს სასაფლაოზე მამულისთვის შეწირულ მამას, რომელსაც შენგან სახელი დარჩა, ყველაზე დიდი განძი, რაც მშობელმა შვილს შეიძლება დაუტოვოს.

მეუღლე მაია,
ქალიშვილი ნინო,
მეგობრები

კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 5. მწვანილი. 6. ო. უაილდის დრამა. 7. იტალიის ქალაქი. 10. მდინარე საქართველოში. 12. 19-ე ს. გამოჩენილი რუსი მწერალი. 13. ბოროტებისა და ცბიერების განსახიერება, მაცდური, ბოროტი სული. 14. ფარული დაცინვა. 15. მცირე ზომის სატრანსპორტო საშუალება, უმთავრესად ტვირთის გადასაზიდად. 17. უბანი თბილისში. 21. დაყრობილი ქვეყანა. 24. ნუსხა. 25. ადამიანის თვისება, ხასიათი. 27. მომღერალთა გუნდი. 28. მოქმედების უნარი. 29. სატრანსპორტო საშუალება. 30. წყლის ფერია ქართულ ხალხურ ზღაპრებში. 31. საკვები პროდუქტი, სითხე. 32. მუსიკოსი. 35. ხმარებიდან გამოსული ლითონის ნივთები. 37. პრკოსანი მცენარე. 40. მდინარე რუსეთის ევროპულ ნაწილში. 43. შინაგანი ორგანო. 45. ბიბლიური პერსონაჟი. 46. მწერალი, ბელეტრისტი . 47. სახელმწიფო აზიაში. 48. აღმოსავლეთის ერთ-ერთი ერის წარმომადგენელი. 49. სოფელი დას. საქართველოში. 50. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში.

ვერტიკალურად: 1. გამოჩენილი ფრანგი დრამატურგი. 2. ფულის ერთეული. 3. დრდი. 4. 14-ე ს. გამოჩენილი იტალიელი მხატვარი. 7. წონის ერთეული. 8. ხილი. 9. დიდი ჯოხი. 10. ცივი იარაღი. 11. უუფლებო, დამონებული გლეხი ძვ. სპარტაში. 15. მჭედლის იარაღი. 16. ბოროტი. 18. ტრაგედიის მუზა. 20. რუსი კოსმონავტი. 21. სუბტროპიკული ყვავილი. 22. ერმი, მერკური. 23. წოდება ფეოდალურ საქართველოში. 24. სასწავლო დაწესებულება. 26. პერსონაჟი ტროადის ომის ციკლიდან. 33. მცენარის ნორჩი ტოტი. 34. ბუნებრივი წყალსატევარი. 35. ნისლი. 36. ძველებური სასრული იარაღი. 37. სახელმწიფო ჩრდ. აფრიკაში. 38. შენობის ნაწილი. 39. 19-ე ს. გამოჩენილი ფრანგი მწერალი. 41. მოქმედი ვულკანი იტალიაში. 42. რელიგიური დაწესებულება. 44. ცეცხლის წარმომქმნელი ერთ-ერთი საგანი. 45. სახელმწიფო ევროპაში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 3. პაროდია. 5. კრედო. 6. სნობი. 8. სიდერაცია. 13. აკაუუ. 14. კარმენი. 16. ლენცი. 18. მაჯმა. 19. სქოლიო. 20. ფრონტისპირი. 21. კიმონი. 23. კოლიტი. 24. ლიტი. 26. ირვინგი. 27. სირმა. 28. ნონპარელი. 33. დირა. 34. ნონი. 35. ინტრიგა.

ვერტიკალურად: 1. ორღობე. 2. ოდისეა. 3. პრესი. 4. ათოსი. 7. არარა. 9. რომანისტიკა. 10. ლენტო. 11. ბუტაფორია. 12. კლასიკოსი. 13. აბაშიძე. 14. კოთორნი. 15. ინფიქსი. 17. იდიოტია. 22. ომეგა. 24. ლარნი. 29. ოდინი. 30. პლავტი. 31. რანტიე.

იყიდება ან იცვლება ორი, ატიპიური, ოთახნახევრიანი, იზოლირებული ბინა დაშენების პერსპექტივით, ერთ კორპუსში, ტელეფონით, დამატებითი სათავსოთი და სარდაფით — ვაკეში, შატბერაშვილის ქუჩაზე (მრგვალ ბაღთან), 7 სართულიან სახლში მე-7 სართულზე. საკონტაქტო ტელეფონები: 98-24-47 ან 31-55-81, 38—96-66 (საღამოს საათებში)

დიდი საკონცერტო დარბაზი

გაზაფხულის დადგომას გილოცავთ
ქართული ესტრადის ვარსკვლავები

დასაწყისი 8 მარტს, 15 საათზე

მონაწილეობენ: ჯემალ სეფიაშვილი, თემურ ყვითელაშვილი, ჯუმბერ ჯანდიერი, ნიკა დოლენჯაშვილი, აჩიკო ნიკოლაიშვილი, ილია ჩუთლაშვილი, მეგი ტატიშვილი, მიშიკო ზაქარეიშვილი, გიგი გეგჭლაშვილი, მზია კვირიკაშვილი, მერაბ სიჭინავა, პაატა ოსეფაშვილი, დათო მამაცაშვილი.

— ანსამბლი „ბერიკონი“, სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „თელა“.

საღამო მიჰყავს ზაზა ალექსიძეს.
პროგრამის მენეჯერია ია ქარდავა,
პროდიუსერი ვლადიმერ ღუღუნაშვილი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დიასამიძე, გელა ებანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი), მიხეილ მახარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 1000 რუბლი.
შ.კ. კუპონებში

ტელეფონები:

რედაქტორი:
93-20-36,

რედაქტორის მოადგილე:
93-18-41

პასუხისმგებელი მდივანი:
93-19-99